პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—31

პარასკევი, 9 თებერვალი 1934 წ. № 34 (3890)

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა

ყრილობის დღიური

8 თებერვლის დილის სხდომას ხსნის ამხ. მ. ი. კალინინი. პირველი კამათში გამოდის ამხ. პრამნეკი (გორკის მხარე). შემდეგ გამოდის ამხ. ა. ი. სტეცკი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. თავის ვრცელ სიტყვაში ამხ. სტეცკი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ცალკეული კომუნისტი ვალდებულია სავსებით დაეუფლოს მარქს-ლენინ-სტალინის თეორეტიულ იარაღს.

შემდეგ გამოდის ამხ. პანფეროვი (მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტი).

შემდეგ გამოდის ამხ. რადეკი, რომელიც ლაპარაკობს ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპების გამარჯვებაზე სხვადასხვა გვარ ოპოზიციებთან ბრძოლაში, ამ გამარჯვების შედეგად დიდძალი მასები დარაზმულია ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კალინინი სიტყვას აძლევს შორეულ აღმოსავლეთის საგანგებო წითელდროშოვანი არმიის სარდალს ამხ. ბლიუხერს. ყრილობა ამხ. ბლიუხერს უმართავს ხანგრძლივ ოვაციას.

შემდეგ კამათში გამოდიან ამხ. ხალტანოვი (ა.-ლ.-კ.-კ. ც.-კ.-ი) ამხ. შაბუროვი და კრჟიჟანოვსკი.

კამათი ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო დამთავრდა. თავ-რე ამხ. კალინინი აცხადებს: ამხ. კაგანოვიჩი ფიქრობს, რომ მას შეუძლია უარი თქვას საბოლოო სიტყვაზე, ვინაიდან არ გამოსულა არც ერთი ორატორი, რომელსაც გაელაშქრებინ მოხსენების დებულებების წინააღმდეგ.

ყრილობა კენჭს უყრის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს ორგანიზაციული საკითხების შესახებ (პარტიული და საბჭოთა მშენებლობა) თეზისები ერთხმად მიღებული იქნა საფუძვლად. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო რეზოლუციის საბოლოო რედაქციისათვის ყრილობა ირჩევს კომისიას შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: კაგანოვიჩი, სტალინი, კალინინი, პოსტიშევი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კიროვი, კოსიორი, ეჟოვი, კოსარევი, სტეცკი, ხრუშჩოვი, კრინიცკი, ვარეიკისი, შუბრიკოვი; ჟდანოვი; გიკალო, პოლონსკი, ეიხე, ენუკიძე, შკირიატოვი კუიბიშევი; ვეინბერგი; უგაროვი, მიხაილოვი, ბრუსკინი, მირზოიანი, ანტიპოვი, სულიმოვი; მაკაროვი, ბერია, პრამეკი, ფურერი, ერემინი, ნიკოლაევა; გამარნიკი; ვაკულიჩევი, რაზუმოვი, ხატაევიჩი, ვეგერი, ვ. გროსმანი, მ. კაგანოვიჩი.

8 თებერვალს საღამოს სხდომა არ შემდგარა.

9 თებერვალს სრულ 12 საათზე წითელ მოედანზე შესდგება მოსკოვის გარნიზონის ჯარების აღლუმი მე-17 ყრილობის პატივსაცემად.

9 თებერვალს საღამოს შესდგება ყრილობის სხდომა ხელმძღვანელ ორგანოების ასარჩევად. 10 თებერვალს დილით შესდგება საბოლოო სხდომა.

მეორე ხუთწლიანი გეგმა

ამხ. კუიბიშევის მოხსენებიდან

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, რომელმაც ათი წლის წინათ დაჰკარგა გენიალური ბელადი, რომლის მსგავსი როდისმე კი ჰყოლია კაცობრიობას — ლენინი, — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, მიდის რა ლენინის მიერ ნაანდერძევი გზით, პრაქტიკულად ამტკიცებს სისწორეს ლენინ-სტალინის მოძღვრებისა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. მივაღწიეთ რა გადამწყვეტ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში და წარმატებებით დავამთავრეთ პირველი ხუთწლედი, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ამ ყრილობაზე მივიღოთ მეორე ხუთწლიანი გეგმის პროგრამა. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ერთადერთი სწორი და სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველმყოფელი მიმართულების განსაზღვრაში, იმ მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი რგოლების განსაზღვრაში, რომელიც სოციალიზმის მშენებელ ჩვენს ქვეყანას უმზადებს უმაგალითო გამარჯვებებს. — მთავარი როლი ეკუთვნის ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის გენიალურ ბელადს—ამხ. სტალინს; სწორედ მისმა გენიალურმა გამჭრიახობამ და მუშათა კლასის ბრძოლის ბრწყინვალე ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დაგვესახა მეორე ხუთწლედის შემდეგი დიადი ამოცანები. რომლებიც ეპოქას ქმნიან კაცობრიობის ისტორიაში: კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების მთლიანად მოსპობა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას და ექსპლოატაციას. მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, თვითეული მუშის, თვითეული კოლმეურნის ცხოვრების გარდაქმნა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებად.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას შედეგად მოჰყვება საბჭოთა კავშირის სიმძლავრის არაჩვეულებრივად განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ახალი აურაცხელი სიმდიდრეების გამოყენება სოციალიზმისათვის.

მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქცია მეორე ხუთწლედში ერთიორად და კიდევ მეტად იზრდება; სახალხო მეურნეობის წარმოების მოცულობის მხრივ საბჭოთა კავშირი ეწევა და წინ უსწრებს ევროპის ყველა ქვეყანას, ხოლო ზოგიერთ დარგში — ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის უმაგალითო ტემპებს, ხდება კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან ტექნიკურად და ეკონომიურად საბოლოოდ დამოუკიდებელ ქვეყნად. ამ უდიდეს გამარჯვებებს, რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლიანი გეგმით, ჩვენ შევიძლია მივაღწიოთ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შედეგად, კლასობრივ მტერთან შემდგომ ბრძოლაში, სახელმწიფოს ორგანიზატორული როლის გაძლიერებით, სიძნელეების გადალახვით სამეურნეო ფრონტზე.

მეორე ხუთწლედის საკვანძო სამეურნეო ამოცანები

მეორე ხუთწლიანი გეგმის მატერიალურ ღერძს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, რაც ნიშნავს ყველა, მის დარგის ღრმა ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას.

მეორე ხუთწლედის დამლევს, ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების შედეგად, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობა სავსებით აყვავებული იქნება, სავსებით განაღდებული იქნება ის შესაძლებლობანი, რომლებიც ამჟამად ჯერ კიდევ ფარული სახით მოიპოება ჩვენს მრეწველობაში.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში აშენდება და რეკონსტრუირებული იქნება 175-ზე მეტი მანქანათმშენებელი ქარხანა, აშენდება ქვანახშირის 248 მაღარო, 79 რაიონული ელექტროსადგური, 46 მილქარხანა და 96 კრეკინგი, ფერადი მეტალურგიის 25 ქარხანა, მსუბუქი მრეწველობის 313 მსხვილი საწარმო და კვების მრეწველობის 350 მდე მსხვილი საწარმო.

მანქანათმშენებლობის და ლითონის დამუშავების პროდუქცია გაიზრდება 2,3-ჯერ და 1937 წლისათვის შეადგენს გერმანიის მანქანათმშენებლობის პროდუქციის (1929 წ.) 229 პროცენტს. მეორე ხუთწლედში მანქანათმშენებლობა დაამზადებს ყველა თანამედროვე ტიპის მანქანებს, რომლებიც აუცილებელია უახლესი ტექნიკის ათვისებისათვის მთელს სახალხო მეურნეობაში.

მეორე ხუთწლედში საბჭოთა კავშირი სავსებით გადასჭრის ელექტროფიკაციის საფუძველზე მთელი მრეწველობის გარდაქმნის ლენინის მიერ დასმულ ამოცანას, გადავა ტრანსპორტის ფართო ელექტროფიკაციაზე და სოფლის მეურნეობის თანდათანობით ელექტროფიკაციაზე. თუ ელექტროფიკაციის აბსოლუტური მასშტაბის მიხედვით მეორე ხუთწლედში ჩვენ ვერ გამოვდივართ პირველ ადგილზე მსოფლიოში, — ჩამოვრჩებით შეერთებულ შტატებს,—სამაგიეროდ ელექტრო - ენერგეტიული ბაზის ტექნიკური დონის მხრივ წინ გავუსწრებთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას.

როგორი საკვანძო ამოცანები დგას ჩვენს წინაშე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში?

მეორე ხუთწლედის **პირველ საკვანძო სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს** ტრანსპორტის ჩამორჩენის სავსებით დაძლევა და, პირველ ყოვლისა, რკინის გზის ტრანსპორტის გაძლიერება, რადგან ტრანსპორტის ეს ჩამორჩენა უკვე აფერხებს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამჟამად უკვე მხოლოდ მიმდინარე წარმოება მოითხოვს ჩვენი რკინისგზებისაგან 61.000 სატვირთო ვაგონის ყოველდღიურ დატვირთვას, ხოლო ტრანსპორტი ტვირთავს მაქსიმუმს 52—54 ათას ვაგონს. ეს ნიშნავს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება გადაუზიდავი ტვირთის მარაგი.

სავსებით აშკარაა, რომ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რკინისგზელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, ის გარემოება, რომ არ წარმოებს ყოველდღიური, ნამდვილი ბრძოლა ტრანსპორტის მოწყობილობის და მატერიალურ საშუალებათა საუკეთესოდ გამოყენებისათვის.

რკინის გზის მეურნეობის განსაკუთრებით მწვავე პრობლემას მეორე ხუთწლედში წარმოადგენს **სალიანდაგო მეურნეობის** პრობლემა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

რკინის გზის ტრანსპორტის განვითარების მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხია **მოძრავი შემადგენლობის** რეკონსტრუქცია. ტრანსპორტმა მრეწველობისაგან მეორე ხუთწლედში უნდა მიიღოს 5.700 სატვირთო ორთქლმავალი და 2.025 სამგზავრო ორთქლმავალი.

მრეწველობამ ტრანსპორტს უნდა მისცეს 273 ათასი სატვირთო ვაგონი ოროღერძიანი გამოანგარიშებით და 12,5 ათასი სამგზავრო ვაგონი.

მაგრამ ამხანაგებო, იმისათვის, რომ შევქმნათ ისეთი ტრანსპორტი, რომელიც სახალხო მეურნეობის ახალ გაზრდილ მოთხოვნილებებს შეეფერება, არ კმარა რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუირება. საჭიროა კიდევ განვავითაროთ ტრანსპორტის სხვა სახეებიც და მათ შორის ტვირთზიდვა რაციონალურად გავანაწილოთ. ეს ამავე დროს გაადვილებს რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობასაც. ამასთან შეფარდებით, მაშინ როცა რკინის გზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა მეორე ხუთწლედში იზრდება თითქმის 80 პროცენტით, სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა იზრდება ორნახევარჯერ, საზღვაო ტრანსპორტისა — ერთიორამად, ავტოტრანსპორტისა — 16-ჯერ, ხოლო ტვირთის გადატანა საჰაერო ტრანსპორტით—23.5-ჯერ.

ფართო მასშტაბით ხორციელდება სარეკონსტრუქციო ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ **წყლის ტრანსპორტის** ექსპლოატაციის გადაჭრით რაციონალიზაციას და ძირფესვიანად გარდაქმნას.

ტრანსპორტის რეკონსტრუქციის დამთავრების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საავტომობილო ტრანსპორტის** განვითარება. ავტომობილების პარკი მეორე ხუთწლედში იზრდება 1932 წლის 75,4 ათასიდან 580 ათასამდე 1937 წელს.

ტრანსპორტის ჩამორჩენის დაძლევასთან განუყრელადაა დაკავშირებული რეკონსტრუქცია კავშირგაბმულობისა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს აგრეთვე ჩვენი სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ უბანს.

მეორე ხუთწლედის მეორე საკვანძო სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს მძიმე მრეწველობის შიგნით ზოგიერთი ჩამორჩენილი რგოლის უმოკლეს ვადაში წინ წაწევა. უწინარეს ყოვლისა აქ საკითხი ეხება **შავ და ფერად მეტალურგიას.**

ჩვენ ამოცანად ვისახავთ ერთიორად და უფრო მეტადაც გავადიდოთ შავი მეტალურგიის საწარმოო აპარატის სიმძლავრე და დავძლიოთ განსხვავება სიმძლავრეში საბრძმედო, ფოლადგამომდნობი და განსაკუთრებით სტკეც საამქროთა შორის, რომელნიც უკანასკნელი წლების მანძილზე ჩამორჩებიან საბრძმედო წარმოებას. თუ რამდენად გრანდიოზულია სამუშაო კაპიტალურ მშენებლობის დარგში შავი მეტალურგიის ხაზით, ჩანს იქიდან, რომ ჩვენ მარტო ხუთი წლის მანძილზე უნდა შევქმნათ სიმძლავრე, რომელიც ორნახევარჯერ აღემატება ომამდელი მეტალურგიის სიმძლავრეს. ის მოწყობილობა, რომელსაც მეორე ხუთწლედში ვდგამთ, არის ყველაზე უფრო მოწინავე მეტალურგიულ ტექნიკაში.

შავი მეტალურგიის საწარმოო აპარატის განახლება საშუალებას მოგვცემს ბევრად გავადიდოთ შრომის მექანიზაცია.

მეორე ხუთწლედში შავი მეტალურგიის გეგმაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწყობილობის სიმძლავრის გამოყენების შემდგომ გაძლიერებას, პირველ ხუთწლედთან შედარებით.

ახლა ფერადი მეტალურგიის შესახებ. მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა მოვიკრიფოთ მთელი ძალღონე იმისათვის, რომ გავადიდოთ მადნეებიდან სპილენძის გამოდნობა უფრო მეტად, ვიდრე ოთხჯერ, ტყვიის გამოდნობა—ექვსჯერ, თუთიის გამოდნობა—შვიდჯერ. ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ ფერადი ლითონის მადნების უზარმაზარი მარაგით.

მეორე ხუთწლედის პროგრამის განხორციელება ჩვენს ფერად მეტალურგიას მიაკუთვნებს ერთერთ პირველ ადგილს მსოფლიოში როგორც წარმოების მოცულობის, ისე საწარმოთა ტექნიკური დონის მხრივ.

მეორე ამოცანა მძიმე მრეწველობის დარგში, რომლის გადაწყვეტას მეორე ხუთწლედში უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, — ეს არის ნავთის პრობლემა.

ამიტომ, საჭიროა მეორე ხუთწლედში გავადიდოთ ნავთობის მოპოება უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ, ბენზინისა და ლიგროინისა — სამჯერ, ნავთისა—თითქმის ორჯერ, ზეთეულისა—2,5-ჯერ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც პირველ ხუთწლედში მთლიანად არ ყოფილა გადაწყვეტილი, არის **ქიმიური** მრეწველობის ყოველნაირად განვითარება.

მეორე ხუთწლედში ჩვენ ვქმნით მძლავრ ქიმიურ მრეწველობას, რომელსაც შეეძლება ფართოდ მოამარაგოს სოფლის მეურნეობა სასუქით, განამტკიცოს ქვეყნის თავდაცვის უნარი, — ქიმიური მრეწველობა, რომელიც გამოიყენებს უახლეს ტექნიკურ მიღწევებს და ბევრმხრივ წავა თავისი, ახალი, უფრო რაციონალური გზებით ტექნიკის, უახლესი პროგრესისაკენ.

მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ამოცანას მეორე ხუთწლედში წარმოადგენს **შრომის ტევადი პროცესების მექანიზაციის დამთავრება.** მეორე ხუთწლიანი გეგმა ისტორიაში პირველად ითვალისწინებს მანქანით ადამიანის ასე ფართოდ შეცვლას მძიმე და დამღლელ სამუშაოებზე.

მეორე ხუთწლედის **მესამე საკვანძო სამეურნეო ამოცანას** წარმოადგენს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის არსებითად გაუმჯობესება და საქონელბრუნვის ყოველნაირად გაშლა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სრული დამთავრება მეორე ხუთწლედში, ყველა კოლმეურნეობების გადაქცევა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ძირითადად განხორციელება უზრუნველყოფენ, მტკიცე და დიდად ნაყოფიერი **სასოფლო - სამეურნეო სასურსათო და ნედლეული ბაზის** შექმნას საბჭოთა კავშირში.

სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს და ყველაზე უფრო ძნელ პრობლემას უახლესი პერიოდისათვის წარმოადგენს მეცხოველეობის ზრდა განვითარება ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხორცზე, რძეზე და მეცხოველეობის ნედლეულზე (მატყლი, ტყავი და სხვ.), აგრეთვე ცხენის გამწევ ძალაზე.

მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა მეორე ხუთწლედში უნდა მოხდეს როგორც ჯოგის სულადობის გადიდებით საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებში და კოლმეურნეთა მეურნეობებში, ისე მეცხოველეობის სწრაფმოზარდი სახეების ზრდისა და ჯოგის პროდუქტიულობის გადიდების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცხენის სულადობის შენარჩუნების და შემდგომი გადიდების საკითხს.

გეგმა ითვალისწინებს კვების ბაზის საგრძნობ გაფართოებას და რეკონსტრუქციას.

1937 წელს პირუტყვის საკვებად შეიძლება გამოყოფილი იქნას 400—425 მილიონი ცენტნერი კონცენტრატი ნაცვლად 210—225 მილიონი ცენტნერისა, რომელსაც მეცხოველეობა ღებულობდა ომამდელ წლებში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მეცხოველეობის სწრაფმოზარდი სახეების — ღორის, ფრინველის, კურდღლის გამრავლების საქმეში, რომელთა რაოდენობა მეორე ხუთწლედში მაქსიმალურად გაიზრდება.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და საგრძნობლად გავადიდოთ მარცვლეულის მოსავალი, მიღწეული 1933 წელს.

მანქანები და ტრაქტორები, რომლებსაც სოფლის მეურნეობა მიიღებს მეორე ხუთწლედში, შესაძლებლობას გვაძლევს ძირითადად დავამთავროთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროცესი და მისი ტექნიკა ავიყვანოთ კაპიტალიზმისათვის მიუღწეველ დონეზე.

მარცვლეულის პროდუქციის თვალსაჩინო ზრდა ქმნის საჭირო პირობებს **ტექნიკური და სპეციალური კულტურების** პროდუქციის დაჩქარებული ზრდისათვის.

მეორე ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას და გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ისეთი უმნიშვნელოვანესი კულტურების გაფართოებას, როგორიცაა ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ტუნგოს ხე, ეთერზეთოვანი და სამკურნალო კულტურები.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა, რომელიც პირველი ხუთწლედის განმავლობაში გადაიქცა ყველაზე მსხვილ წარმოებად მსოფლიოში, მეორე ხუთწლედში გახდება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე თავისი ტექნიკური შეიარაღებით. სასოფლო - სამეურნეო შრომა იქცევა ინდუსტრიალურ შრომად.

სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების ბაზაზე სწრაფი ტემპებით იზრდება მსუბუქი და **კვების მრეწველობა.** მეორე ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია უნდა გაიზარდოს 3-ჯერ, კვების მრეწველობა — 2,8-ჯერ ფართო მოხმარების საქონლის პროდუქცია მთელს სახალხო მეურნეობაში, იზრდება 2,7-ჯერ, ქმნის რა საფუძველს ქალაქსა და სოფელს შორის საქონელთბრუნვის საგრძნობლად გაძლიერებისათვის, საქონლის დანორმილი გაშვების თანდათანობით, გაუქმებისა და ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლისათვის.

[illegible] ზრდის ამ გეგმის განხორციელება მოითხოვს შინაგანი სანედლეულო რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას, ნედლეულის უკეთ გამოყენებას, მსუბუქი მრეწველობის მუშაობის ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესებას.

ნედლეულის უკეთ გამოყენების გზით ჩვენ 1937 წლისათვის უნდა მივიღოთ ბამბეული ქსოვილის წარმოების 12 პროც. მატება 1932 წელთან შედარებით, შალეულის, მრეწველობაში ნედლეულის უკეთ გამოყენების გზით უნდა მივიღოთ 20 მილიონი მეტრი ქსოვილი, ფეხსაცმელის მრეწველობაში — დაახლოვებით 10 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ერთისამად გადიდება მოითხოვს მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის ახალ საწარმოთა უდიდეს მშენებლობას და არსებულ საწარმოთა საგრძნობ რეკონსტრუქციას.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მსუბუქ მრეწველობაში მეორე ხუთწლედში იზრდება 4,6-ჯერ, ხოლო ექსპლოატაციაში გაშვების მოცულობა 6,1-ჯერ პირველ ხუთწლედთან შედარებით.

ახალი ტექნიკის ბაზაზე ფართო მშენებლობის შედეგად მთელი მსუბუქი მრეწველობა მიაღწევს მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის დონეს.

მსუბუქი მრეწველობის მსგავსად კვების მრეწველობამაც მეორე ხუთწლედში უნდა მიაღწიოს პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

მეორე ხუთწლედში მუშათა და კოლმეურნეთა მზარდი მოთხოვნილებების ყოველმხრივ დაკმაყოფილების საქმეში უაღრესად მნიშვნელოვან დამატებითი ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივი მრეწველობის განვითარება, რომელიც მეორე ხუთწლედში ერთისამად ადიდებს ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას. ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და ნედლეულის ახალი სახეების გამონახვაში ადგილობრივი ორგანოების მაქსიმალური ინიციატივა წარმოადგენს ამ პროგრამის რეალიზაციის ძირითად პირობას. ადგილობრივ მრეწველობას უნდა გადაეცეს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მთელი რიგი საწარმოები.

მეორე ხუთწლედში ჩვენ დავამზადებთ ფართო მოხმარების საქონლის უდიდეს მასას. მაგრამ იმისათვის, რომ ეს საქონელი მივაწოდოთ მომხმარებელს, საჭიროა კარგად მომუშავე სავაჭრო ქსელი.

დაუნორმავი ვაჭრობის გაფართოება, ცენტრალიზებული მომარაგების გაუქმებისათვის პირობების მომზადება, უეჭველია, გააჯანსაღებს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას და აიძულებს მათ უფრო სწრაფად მოახდინონ მუშაობის საჭირო გარდაქმნა. სავაჭრო მუშაობაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ცენტრის მუშების და საკოლმეურნეო სოფლის მომსახურებას, იმ საკოლმეურნეო სოფლის, რომელიც სწრაფად ადიდებს თავის კეთილდღეობას.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა მეორე ხუთწლედში დასახული ტემპებით, საბჭოთა ვაჭრობა, კულტურულად დაყენებული ვაჭრობა, — ეს არის ის, რაც ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვესაჭიროება ქალაქის და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ამისათვის ქმნის ყოველგვარ პირობას და ეს პირობები ჩვენ უნდა გავანაღდოთ.

ფართო მასების მიერ ახალი ტექნიკის ათვისება წარმოადგენს ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ მომენტს.

ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის მომზადება და გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამასთან ერთად გავატარებთ ფართო ღონისძიებებს კადრების მომზადების დარგში. მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მასობრივი კვალიფიკაციის 5 მილიონი მუშაკის მომზადებას, მათ შორის 2,5 მილიონი მუშაკის მომზადებას საფაბრიკო - საქარხნო სკოლებში.

უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებული სპეციალისტების გამოშვება მეორე ხუთწლედში იზრდება 2-ჯერ, ხოლო ტექნიკუმებში კურსდამთავრებული სპეციალისტების გამოშვება 3-ჯერ პირველ ხუთწლედთან შედარებით. მკვეთრად იზრდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფა სპეციალისტებით. სპეციალისტთა რიცხვი მრეწველობაში მატულობს 57 პროცენტით.

განსაკუთრებით ინტენსიურად იზრდება სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე და მათი რიცხვი სოფლის მეურნეობაში.

შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში მიაღწევს 62,7 პროცენტს, რაც გაცილებით აღემატება შრომის ნაყოფიერების ზრდას პირველ ხუთწლედში (41 პროც.).

მეტად დამახასიათებელია, რომ მეორე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდამ სოფლის მეურნეობაში უნდა გადააჭარბოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს მრეწველობაში. აქ გამოხატულებას პოულობს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის დაძლევა, რაც მიუღწეველია კაპიტალიზმისათვის და რაც საბჭოთა კავშირში ხორციელდება მეორე ხუთწლედში.

უდიდესი მნიშვნელობა თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულებისა, რომელიც იმავე ათვისების პროცესის გამოხატულებას წარმოადგენს, მდგომარეობს იმაში, რომ თვითღირებულების შემცირება არის დაგროვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და ამავე დროს ქმნის ბაზას ფასების შემცირების თანამიმდევრობით გატარებისათვის, რაც უზრუნველყოფს შრომის რეალური ხელფასის ზრდას მეორე ხუთწლედში. იზრდება მრეწველობის, როგორც დაგროვების წყაროს, როლი და საგრძნობლად მატულობს მსუბუქი და კვების მრეწველობის და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობა.

თვითღირებულების შემცირებასთან ერთად მეორე ხუთწლიანი გეგმა ამოცანად ისახავს პროდუქციის ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესებას.

ასეთია, ამხანაგებო, ამოცანები ათვისების დარგში. აშკარაა, რომ მათი გადაჭრა შეუძლებელია მეცნიერულ მუშაკთა ფართო მონაწილეობის გარეშე.

სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების და ტექნიკის ათვისების ამოცანები რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლიანი გეგმით, უაღრესად ადიდებს მეცნიერების და ტექნიკის როლს საბჭოთა კავშირში, მთელი სიგრძესიგანით სვამს წარმოებაში მეცნიერების დანერგვის პრობლემას.

სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობაში ჩვენ უნდა ჩავაბათ ინჟინერთა და ტექნიკოსთა უდიდესი მასები. ტექნიკის შესწავლის საქმეში უნდა ჩავაბათ მუშათა უდიდესი მასები. ამ გზით მეორე ხუთწლედში ჩვენ თავს გავართმევთ ათვისების ამოცანას და, მაშასადამე, შევძლებთ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია ყრილობაზე.

ფართო მასების საარსებო დონის ამაღლება

სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, საქონელთბრუნვის გაშლის საფუძველზე მეორე ხუთწლიანი გეგმა სახავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის უმაგალითო ამაღლებას.

მეორე ხუთწლედში საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის რეალური ხელფასის გადიდება, 2,1-ჯერ, განვახორციელოთ ამხ. სტალინის ლოზუნგი ყველა კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის შესახებ და რადიკალურად გავაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები.

სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვექნება მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესი, შესანიშნავი არა მარტო სწრაფი ტემპებით და მიღწეული დონის სიმაღლით, არამედ აგრეთვე ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის მთელი საკოლმეურნეო მოსახლეობის მასობრივად ჩაბმით.

ჩვენ გვაქვს ქალაქის მოსახლეობის უმაგალითო ზრდა, როგორც გაძლიერებული ინდუსტრიალიზაციის შედეგი; მეორე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებები საქალაქო და სამრეწველო საბინაო მშენებლობაში შეადგენს 12,5 მილიარდ მანეთს, ე. ი. 3-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე სათანადო დაბანდებები პირველ ხუთწლედში; ეს უზრუნველყოფს 66 მილიონ კვადრატულ მეტრ საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას, რაც უდრის მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაგროვილი მთელი საქალაქო საბინაო ფონდის ერთ მესამედს.

მეორე ხუთწლედში მოხდება 400-ზე მეტი საქალაქო ცენტრის, მათ შორის ნაციონალური ცენტრების უმრავლესობის, რეკონსტრუქცია.

მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ამ დარგში კაპიტალური დაბანდებები 4-ჯერ იზრდება პირველ ხუთწლედთან შედარებით.

მასობრივი განათლების დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმა სახავს საყოველთაო პოლიტექნიკური სწავლების დაჩქარებულად გაშლას, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დამთავრებას; სკოლის ასაკამდე აღზრდის და მასობრივი პოლიტიკურ-კულტურული-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემის ფართოდ განვითარებას.

პოლიტექნიკური სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გადაჭრით გაუმჯობესებამ, სკოლის უზრუნველყოფამ საჭირო შენობებით და მოწყობილობით, სტაბილური სახელმძღვანელოებით, სასწავლო ხელსაწყოებით, რვეულებით და სხვ.

გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებებს სკოლებისათვის ხუთწლედში 2,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად პირველ ხუთწლედში დაბანდებულ 0,7 მილიარდი მანეთისა, აქედან მოწყობილობისათვის ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტს.

მეორე ხუთწლედში აშენდება 9 ათასი კინოთეატრი, მათ შორის 7 ათასი სოფლად.

საგრძნობლად იზრდება გაზეთების ტირაჟი. გაზეთების ერთდროული ტირაჟი მიაღწევს 66 მილიონ ეგზემპლიარს, ნაცვლად 1932 წელს არსებულ 35,5 მილიონი ეგზემპლარისა. წიგნების და ჟურნალების პროდუქცია გაიზრდება 2-ჯერ და, კიდევ მეტად.

მეორე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას მეცნიერების წინაშე. სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების ქსელი არ გაიზრდება, მაგრამ მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამეცნიერო - საგამოკვლევო კადრების თვალსაჩინოდ ზრდას, კაპიტალურ დაბანდებათა ზრდას 2,5-ჯერ პირველ ხუთწლედთან შედარებით.

მეორე ხუთწლედის გეგმაში სოციალ - კულტურული მშენებლობის დაფინანსებისათვის კაპიტალური ხარჯების საერთო თანხა გათვალისწინებულია 80 მილიარდი მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს მეორე ხუთწლედის მთელი საფინანსო გეგმის ერთ მეოთხედზე მეტს და სამჯერ და კიდევ მეტად აღემატება კაპიტალურ დაბანდებებს სოციალურ კულტურულ საჭიროებათათვის პირველ ხუთწლედში.

სოციალისტური საზოგადოების შენება ჩვენ დავიწყეთ ჩამორჩენილ, დაბეჩავებულ, წერა - კითხვის უცოდინარ ქვეყანაში. მეორე ხუთწლედში — კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის ხუთწლედში ჩვენ შევდივართ როგორც განათლებული ქვეყანა, სადაც **ჩვენი ქვეყნის მთელი მრავალმილიონიანი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილია შეძლებული და კულტურული ცხოვრება.**

შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება ქალაქში და სოფლად, მატერიალური კეთილდღეობის გადიდება და სოციალისტური კულტურის აყვავება, შრომის სოციალისტური ფორმების ზრდა ყველა საჭირო პირობას ქმნის იმისათვის, რომ მეორე ხუთწლედში გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის ხაზით.

შრომის პროცესში, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განვითარებაში ხდება ადამიანის გარდაქმნა, იქმნებიან ახალი ადამიანები, სოციალისტური საზოგადოების ღირსეული მშენებლები.

რაიონების განვითარება მეორე ხუთწლედში

მშენებლობის მეორე ხუთწლედის ფართო პროგრამა გულისხმობს ძირეულ ძვრებს ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო გეოგრაფიაში. რომელიც წარმოადგენს ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების გეგმის შემადგენელ ნაწილს.

მრეწველობის განაწილება არის წამყვანი რგოლი საწარმოო ძალების ახალი განაწილების შექმნაში.

აღმოსავლეთის რაიონები (ურალი, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირი, შორეულ აღმოსავლეთის მხარე, ბაშკირეთის და კაზაკსტანის ა. ს. ს. რესპუბლიკები, შუააზიის რესპუბლიკები) ღებულობენ სახალხო მეურნეობის მთელი კაპიტალური დაბანდების 33 პროც. და მძიმე მრეწველობის მთელი კაპიტალური დაბანდების 37 პროც. ქვანახშირის მრეწველობის კაპიტალური დაბანდების 49 პროც. შავი მეტალურგიის კაპიტალური დაბანდების 41 პროც. ფერადი მეტალურგიის —71 პროც. მანქანათმშენებლობის —27 პროც. და ქიმიის კაპიტალური დაბანდების 34 პროც.

მრეწველობის შემდგომი განვითარება აღმოსავლეთისაკენ, მისი მიახლოვება ნედლეულთან, ინდუსტრიალიზაციის ახალი დასაყრდენი ბაზების შექმნა ნიშნავს ამავე დროს ნაციონალური რესპუბლიკების და განაპირა რაიონების ეკონომიური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად აუცილებელი წინაპირობების შექმნასაც.

უკვე ახლა, როგორც ამხ. სტალინმა მართებულად აღნიშნა, ჩვენს ქვეყანაში აღარ არის **წმინდა აგრარული თუ წმინდა ინდუსტრიალური რაიონები.**

მეორე ხუთწლედში მრეწველობის განვითარება ისეთ დონეს აღწევს, რომ ისპობა ცალკე რაიონების **მრეწველობის ტექნიკური ჩამორჩენილობა.**

უკვე ახლა, როგორც ამხ. სტალინმა მართებულად აღნიშნა, ჩვენს ქვეყანაში აღარ არის წმინდა **სამომხმარებლო რაიონები.** მეორე ხუთწლედში სამომხმარებლო რაიონები განსაკუთრებული სწრაფი ტემპებით სძლევენ თავისი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას. მე დავკმაყოფილდები ცალკე რაიონების უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანების, კერძოდ [illegible] იმ ამოცანების აღნიშვნით, რომელთა გადაწყვეტა სპობს ვიწრო ადგილებს და რომელთა დაძლევისათვის ჩვენ განსაკუთრებით შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ.

ურალის ოლქი. ურალი ტექნიკურ-ეკონომიური მხრივ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიალური ცენტრი ხდება.

ურალის მეურნეობის სწრაფი და ფართოდ გაშლილი მშენებლობა სხვანაირად აყენებს ურალის, როგორც სარაიონთაშორისო დაკავშირების საკითხს, ისე მთელ რიგ შინასარაიონო პრობლემებს.

ურალის მეტალურგიის, კერძოდ ხარისხოვანი მეტალურგიის პროდუქ-

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

მეორე ხუთწლიანი გეგმა — ამხ. კუიბიშევის მოხსენების დასასრული

ცია საგრძნობლად მოხმარდება დასავლეთსაც, მანქანათმშენებლობის ძირითად ცენტრებს.

სარაიონთაშორისო კავშირის ეს ზრდა განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ურალის სატრანსპორტო პრობლემას, რომელიც უკვე პირველ ხუთწლედში ვიწრო ადგილს წარმოადგენდა. გეგმა ითვალისწინებს ურალის რკინის გზების 748 კილომეტრის ელექტროფიკაციას, სინარსკაია-ჩელიაბინსკის ახალი ხაზის მშენებლობას და სხვ. სამუშაოებს, რომლებიც ურალის სატრანსპორტო მეურნეობას ხდიან მძლავრ და ტექნიკურად მოწინავე ქსელად.

გეგმა ითვალისწინებს ქვანახშირის ამოღების გადიდებას უფრო მეტად, ვიდრე ოთხჯერ და ტორფისას — ხუთჯერ.

მეორე ხუთწლედი გადაწყვეტს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას — ურალის ელექტრო-მომარაგების პრობლემას.

მსუბუქი მრეწველობის დარგში შენდება 16 ობიექტი და კვების მრეწველობის ხაზით 36 ობიექტი.

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში გეგმა ითვალისწინებს ხორბლეულის და განსაკუთრებით ბოსტნეული და საკვები კულტურების ნათესების საგრძნობლად გაფართოებას.

ახალი სამრეწველო ცენტრების და ახალი ქალაქების სწრაფ ზრდასთან შეფარდებით, გეგმა ითვალისწინებს არსებული საბინაო ფონდის 1,5-ჯერ გადიდებას და ძირითადი საქალაქო ცენტრების კომუნალური მეურნეობის რეკონსტრუქციას.

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა. ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა მეორე ხუთწლედში ვითარდება, როგორც ხარისხოვანი და ფერადი მეტალურგიის, ნავთის და ტყის მრეწველობის და მარცვლეული მეურნეობის რაიონი.

უმსხვილესი საწარმოები, რომლებიც შენდება ბაშკირეთის ტერიტორიაზე, — 50 ათასი მოტორის დამამზადებელი მოტორის ქარხანა, სამღერძიანი ავტომანქანების ქარხანა, ნავთის კომბინატი და სხვ., — არსებითად ცვლიან ბაშკირეთის ინდუსტრიალურ სახეს და საგრძნობლად ადიდებენ მის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში.

ბაშკირეთში თითქმის ახლად იქმნება მსხვილი, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ტრანსპორტის პრობლემები გადაწყვეტილი იქნება უფა-მაგნიტნაიას ელექტროფიცირებული მაგისტრალის და სტერლიტამაკ-უფის ხაზის მშენებლობით, რომელიც ბაშკირეთის საკმაოდ სუსტ სარკინიგზო ქსელს ადიდებს 576 კილომეტრით, ამათგან 406 კილომეტრი სარკინიგზო ხაზი ელექტროფიცირებული იქნება.

გეგმა სახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართოდ განვითარებას. ინარჩუნებს რა მარცვლეული რაიონის როლს ბაშკირეთი განსაკუთრებით ძლიერ აფართოებს ხორბლეულის, საბოსტნე-საბაღჩე და საკვები კულტურების ნათესებს.

დასავლეთ ციმბირის მხარე. დიდი სამრეწველო მშენებლობის შედეგად, სწრაფად იზრდება მძიმე მრეწველობა. დასავლეთ ციმბირის ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირში ქვანახშირის მხრივ იზრდება 1932 წლის 11,2 პროცენტიდან 13,3 პროც., თუჯის მხრივ — 4,1 პროცენტიდან 7,1 პროც., გლინული ლითონის მხრივ — 0,6-დან 6,9 პროცენტამდე, თუთიის მხრივ — 2,5 პროც. 42,2 პროცენტამდე, მანქანათმშენებლობის პროდუქცია მატულობს უფრო მეტად, ვიდრე ექვსჯერ, უდიდესი მასშტაბით ვითარდება ქიმიური მრეწველობა და სხვ. ენერგიის გამომუშავება მატულობს 4,6-ჯერ.

მეორე ხუთწლედმა უნდა გადაწყვიტოს ამხ. სტალინის მიერ დასმული ამოცანა — კუზბასის მეორე დონბასად, ფართოდ მექანიზირებულ (ჭრის 98 პროც.) ქვანახშირის მრეწველობის ცენტრად გადაქცევის ამოცანა.

ახალ ამოცანას, რომელიც ფართო მაშტაბით ძირეულად მხოლოდ მეორე ხუთწლედში წყდება, წარმოადგენს მსუბუქი და კვების მრეწველობის მაქსიმალური განვითარება. აუცილებელია ძირფესვიანად გარდავქმნათ და გავაძლიეროთ ციმბირის ძირითადი მაგისტრალი, ავაგოთ მთელი რიგი ახალი ხაზები, კერძოდ ხე-ტყის საზიდი ხაზები, რომელთა მეოხებით მოხდება ტყის ახალი მასივების სამრეწველო ექსპლოატაცია (ტომსკ-ჩულიმი, აჩინსკ-ენისეისკი).

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საბინაო ფონდის თითქმის გაორკეცებას, ფართო მუშაობას ისეთი ქალაქების კომუნალური მეურნეობის განსავითარებლად, როგორიცაა ნოვოსიბირსკი, სტალინსკი, კემეროვო, პროკოპიევსკი, ბარნაული, ტომსკი და სხვა.

კაზაკსტანის ასს რესპუბლიკა. კაზაკსტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკას მოეპოვება ფერადი ლითონის ქვანახშირის, ნავთის უხარმაზარი და ფრიად მრავალფეროვანი მარაგი. იგი მეორე ხუთწლედში ავითარებს დიდ სამრეწველო მშენებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ამ სიმდიდრეთა მაქსიმალური ათვისებას. პრიბალხაშის კომბინატის მშენებლობით უზრუნველყოფილი იქნება სპილენძის მრეწველობის ფართოდ გაშლა, რაც, კაზპოლიმეტალის მშენებლობის დამთავრებასა და რიდერის რეკონსტრუქციასთან ერთად, კაზაკსტანს საბჭოთა კავშირში აკუთვნებს ერთ-ერთ პირველ ადგილს ფერადი მეტალურგიის ხაზით.

ახლად იქმნება მანქანათმშენებელი მრეწველობა. მეორე ხუთწლედი ითვალისწინებს მსუბუქი მრეწველობის 12 საწარმოს, კვების მრეწველობის 40-ზე მეტ საწარმოს მშენებლობას.

კაზაკსტანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს მეცხოველეობის აღდგენა. ტრანსპორტის პრობლემა და წყალთა მეურნეობის ღონისძიებათა პრობლემა.

საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განმტკიცება, საკვები ბაზის ზრდა, ბინადარი მეურნეობის შექმნა, პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებანი ჰქმნიან ყველა აუცილებელ წინაპირობას მეცხოველეობის ახალ სოციალისტურ ბაზაზე განვითარებისათვის, და ამ პრობლემის გადაწყვეტას პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციებმა მაქსიმალური ძალღონე უნდა მოანდომონ.

მეორე ხუთწლედის მანძილზე კაზაკსტანში ამუშავდება 2.000 კილომეტრი ახალი სარკინიგზო ხაზი.

კაზაკსტანში ურალ-კუზბასის კომბინატის საუცხოვო შენობის შექმნით ჩვენ ვასრულებთ ამხ. სტალინის მიერ მე-16 ყრილობაზე მოცემულ ისტორიულ მითითებას. მან მოხაზა ამ შენობის კონტურები, მისი ხელმძღვანელობით გადაწყდა შენობისათვის საძირკვლის ჩაყრის ძნელი ამოცანები, მისი ხელმძღვანელობით დამთავრდება ეს ისტორიული საქმე.

აღმოსავლეთ ციმბირი, ფართოდ ავითარებს რა ქვანახშირის, ოქროს, სამთამადნო და სატყეო მრეწველობას, ღებულობს რეკონსტრუქციის მტკიცე ბაზას შავი მეტალურგიის სახით, რომელიც ახლად იქმნება, და მანქანათმშენებლობის და ელექტრომშენებლობის ფართოდ გაშლის სახით.

შორეულ აღმოსავლეთის მხარის უდიდესი სამრეწველო განვითარება აყენებს მთელ რიგ უდიდეს პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას მეორე ხუთწლედში.

უსურიის რკინისგზის მეორე ლიანდაგის მშენებლობით, ახალი უმსხვილესი ხაზის — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის და მსხვილი გზატკეცილების მშენებლობის გაშლით და, ბოლოს ავტოსაწყობი ქარხნის აგებით შორეულ აღმოსავლეთის მხარეში ძირითადად წყდება ხმელეთის ტრანსპორტის საკითხი.

ამასთან ერთად გეგმით დასახულია მსხვილი სამუშაოები წყლის ტრანსპორტის ხაზით — მდინარე ამურის რეგულირება, სამშენებლო სამუშაოები ვლადივოსტოკის ნავსადგურში, კამჩატკის ნავსადგურში და სხვ.

შორეულ აღმოსავლეთის მხარის განვითარების მთელი პერსპექტივისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას, რომელიც უკვე 1937 წ. უნდა გამოუშვას პირველი 50 ათასი ტონა გადასამუშავებელი თუჯი.

გეგმა ითვალისწინებს თევზის მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

მხარეში საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ბაზის და მოხმარების საგნების გამომუშავებელი მრეწველობის შექმნა წარმოადგენს შორეულ აღმოსავლეთის მხარის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას.

მეორე ხუთწლედში მხარეში იქნება შაქრის მრეწველობის საკუთარი ბაზა, შენდება კვების და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები.

ამხ. სტალინის ინიციატივით მხარის მოსახლეობისათვის ფართო შეღავათების მინიჭება გახდება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მხარისათვის უმწვავესი პრობლემის — ადამიანის პრობლემის გადაჭრაში.

აღმოსავლეთის რაიონების განვითარება დიდ დახმარებას ჰპოვებს ჩვენი ძველი სამრეწველო ცენტრების მხრით, რომლებიც გახდიან ახალი რაიონების ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ბაზა უკვე პირველი ხუთწლედის წლებში.

ამ ძველი სამრეწველო ცენტრების რიცხვში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს **ლენინგრადის ოლქს.**

მანქანათმშენებლობის დარგში ლენინგრადი კვლავ რჩება სრულიად საკავშირო საკონსტრუქტორო ლაბორატორიად და კადრების ტექნიკურ სკოლად. მიმდინარეობს ათვისება მძლავრი ტურბოგენერატორების, ჰიდროგენერატორების, დიზელების, ტურბინების, ქვაბების ახალი უფრო კვალიფიციური მოდელების, გემების, საამწევო და საწნეხი მანქანების ახალი ტიპების, საფეიქრო მოწყობილობის ახალი ტიპების და სხვ. წარმოებისა. იქმნება მანქანათმშენებლობისათვის მაღალხარისხოვანი ნატკეცის წარმოების ბაზა.

ფართოდ ვითარდება მეორე ხუთწლედში ძირითადი ქიმია.

იქმნება მსხვილი სატყეო მრეწველობა, სატყეო-ქიმიური და ქაღალდის. შენდება წმინდა ქსოვილების მსხვილი სელის კომბინატი, სელის საჩეჩი და კოტონინის ფაბრიკები.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში ექსპლოატაციაში გადადის ორი ახალი ჰიდროსადგური (სვირის 2 და 3) 240 ათას კვტ-ის საერთო სიმძლავრის, ერთი ტორფით მომუშავე ელექტროსადგური 100 ათასი კვტ-ის სიმძლავრის, ერთი თბოცენტრალი 100 ათასი კვტ-ის სიმძლავრის აგრეთვე წარმოებს მთელი რიგი ძველი სადგურების რეკონსტრუქცია.

გარდა ამისა, შენდება სამი მსხვილი ჰიდროსადგური კოლის ნახევარკუნძულზე, რომელთა სიმძლავრე ხუთწლედის ბოლოსათვის იქნება 141 ათასი კვტ. ამით მთლიანად იჭრება ოლქის ელექტრომომარაგების პრობლემა.

ლენინგრადის ოლქი „მომხმარე პურეულის" რაიონიდან ხდება ხორბლეულის მნიშვნელოვანი წარმოების რაიონად (ხორბლის პროდუქცია გაიზრდება 18,7-ჯერ).

ტრანსპორტის პრობლემა იჭრება ლენინგრადის კვანძის რეკონსტრუქციით, მეორე ლიანდაგების გაყვანით მურმანსკის რკინისგზის ელექტროფიკაციით და, უმთავრესად, წყლის გზების განვითარებით (ბალტიკა-თეთრი ზღვის არხი, მარიის სისტემის რეკონსტრუქცია), რომლებიც იძლევა გასასვლელს თეთრ ზღვაში და განამტკიცებს კავშირს ვოლგასთან.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მოსკოვის ოლქის პროდუქცია იქნება ტორფის ხაზით საერთო საკავშირო ამოღების 27 პროც., ელექტროენერგიის გამომუშავების ხაზით — 14,1 პროც. თუჯის გამოღნობის — 4 პროც. მანქანათმშენებლობის პროდუქციის — 23,4 პროც. ბამბის ქსოვილების წარმოების ხაზით — 41,2 პროც., მატყლის ქსოვილების — 43,5 პროც.

მოსკოვის ოლქმა უნდა ითამაშოს უდიდესი როლი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების ამოცანის გადაჭრაში.

მეორე ხუთწლედში სათბობი ბაზის განმტკიცების ამოცანა გადაიჭრება ქვანახშირის ამოღების გადიდებით მოსკოვის ბასეინში არა ნაკლებ 10 მილიონ ტონამდე 1937 წელს. ტორფის ამოღება მეორე ხუთწლედში აუცილებლად უნდა ავიყვანოთ 6,7 მილიონ ტონამდე (1937 წელს).

ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობა, რომელიც გადააქცევს მოსკოვს ღრმა ფსკერიან ნავსადგურად, ხსნის მოსკოვის ტვირთებისათვის უდიდესი სიმძლავრის მდინარის იაფ გზას. მოსკოვის ოლქის სათბობით მომარაგებაში უდიდეს როლს შეასრულებს მოსკოვ-დონბასის ახალი მაგისტრალი, ოლქის სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესებისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მოსკოვის კვანძის რკინის გზების ელექტროფიკაცია და რეკონსტრუქცია.

სოფლის მეურნეობის დარგში მეორე ხუთწლედის ძირითად პრობლემას წარმოადგენს მოსკოვის ოლქის მომხმარებლიდან მწარმოებელ ოლქად გადაქცევის ამოცანის მთლიანად გადაჭრა.

ივანოვოს ოლქი. მეორე ხუთწლედი ითვალისწინებს პირველ ხუთწლედში შექმნილი მძიმე ინდუსტრიის დარგების, უპირველეს ყოვლისა მანქანათმშენებლობის და ქიმიის შემდგომ ზრდას, საფეიქრო მრეწველობის შემდგომ განვითარებას და ძვირფასი ქსოვილების წარმოებაზე მის სპეციალიზაციასთან ერთად.

მსუბუქი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 1.245 მილიონ მანეთიდან 3.205 მილიონ მანეთამდე, ანუ 159 პროცენტით.

გადიდებული უნდა იქნას რაიონული ელექტროსადგურების სიმძლავრე: ივანოვოს რაიონული ჰიდროელსადგურის — 1932 წლის 75 ათასი კილოვატიდან 124 ათას კილოვატამდე 1937 წელს, იაროსლავის თბოელექტროცენტრალი — 72 ათას კილოვატამდე, ყველა ელსადგურების საერთო სიმძლავრე 355 ათას კილოვატამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იაროსლავის 100 ათასი კილოვატიანი მძლავრი ჰიდროელსადგურის მშენებლობა, რომელიც დაიწყება მეორე ხუთწლედში და ამუშავდება 1938 წელს.

სოფლის მეურნეობის დარგში მეორე ხუთწლედის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ხორბლეულის სათესი ფართობის გადიდება (33,7 პროცენტით), სელის წარმოების განვითარება, მტკიცე ბაზის შექმნა მეცხოველეობისათვის, რომელიც სწრაფად ვითარდება.

გორკის მხარე. მანქანათმშენებლობის დარგში უდიდეს ამოცანას წარმოადგენს გორკის საავტომობილო ქარხნის მთელი სიმძლავრის ათვისება.

სორმოვოს გემთსაშენი ქარხნის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია გადააქცევს მას საბჭოთა კავშირის მდინარის გემთსაშენის ძირითად ბაზად.

ტყის მდიდარი მასივის არსებობა ოლქში გამოიწვევს ტყის, ქაღალდის და სატყეო-ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვან განვითარებას.

მხარის ელექტრომშენებლობას ახასიათებს ვასილსურსკის გიგანტური ჰიდროსადგურის, სორმოვო-კანავინოს პირველი რიგის თბოელექტროცენტრალის, ძერჟინსკის თბოელექტროცენტრალის აგება, რომელიც აყვანილი იქნება სრულ სიმძლავრემდე (204 ათასი კილოვატი), გორკის რაიონული ჰიდროსადგურის აგება, მარიის რაიონული ჰიდროელსადგურის მშენებლობა, ავტოქარხნის და მთელი რიგი სხვა სამრეწველო სადგურების გაფართოება.

შუა-ვოლგის მხარე მეორე ხუთწლედში გადაიქცევა განვითარებული სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ელექტრომრეწველობის, ნავთის გადამამუშავებელი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი განვითარებული მრეწველობის რაიონად. უმთავრეს მშენებლობებს, რომლებიც აღრმავებენ მხარის სპეციალიზაციას მეორე ხუთწლედში, წარმოადგენს სამარის საავტომობილო ქარხანა, ავტოსატრაქტორო მოწყობილობათა, მშრალი ელემენტების, რადიოლამპების ქარხანა, ლოკომოტივების მშენებელი მძლავრი ქარხანა ორსკში, ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა იქვე და სხვ.

ახალ შუა-ვოლგის მხარისათვის მეორე ხუთწლედში წარმოადგენს ხალილოვსკის მეტალურგიული ქარხნის და ბლიავსკის ფერადი ლითონების კომბინატის მშენებლობა.

უდიდესი მრავალმხრივ განვითარებული სამრეწველო ცენტრი შეიქმნება ორსკის რაიონში.

მხარის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის — მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების და მაღალხარისხოვანი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება.

თათართა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ეკუთვნის ისეთი რაიონების რიცხვს, რომელთა ინდუსტრიალიზაციის პროცესი სწარმოებს განსაკუთრებით ენერგიული ტემპებით.

გეგმა ითვალისწინებს მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის 25-ზე მეტ ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობას. რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება გეგმით გათვალისწინებულ სამგზავრო ვაგონების ქარხნის, ოპტიკური ხელსაწყოების ქარხნის, ავტოსატრაქტორო მოწყობილობათა ქარხნის და სხვა მშენებლობას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს გეგმით დაპროექტებული ყაზან-შიხრანის რკინის გზის ხაზის მშენებლობის კოლოსალური ეკონომიური მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობის განვითარება განმტკიცდება მისი ტექნიკური შეიარაღების უდიდესი ზრდით, რესპუბლიკის სატრაქტორო პარკი მეორე ხუთწლედში გაიზრდება 17,3 ათასი ცხენის ძალიდან 200 ათას ცხენის ძალამდე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიპყრობილი მეცხოველეობის განვითარებაზე, კერძოდ მის სწრაფ მზარდი სახეების მხრით.

ქვემო-ვოლგის მხარე. პირველ ხუთწლედში დაწყებულ მანქანათმშენებლობის ქარხნების მშენებლობის დამთავრებასთან ერთად, მხარეში გაიშლება სამტონიანი ავტომობილების დამამზადებელი დიდი ქარხნის მშენებლობა 100 ათასი მანქანის სიმძლავრით წელიწადში. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა გადაყვანილი იქნება მუხლუხოვანი ტრაქტორების წარმოებაზე.

მეორე ხუთწლედში ქვემო-ვოლგის მხარე ფართოდ განავითარებს კვების მრეწველობის საწარმოების მშენებლობას.

სატრანსპორტო მეურნეობის დარგში მეორე ხუთწლედში შესრულებული იქნება გრანდიოზული არხის მშენებლობა, რომელიც შეაერთებს ორი მდინარის სისტემას: ვოლგისა და დონის. ამ მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის და სავსებით სხვაგვარად სვამს საკითხს კასპიისა და შავი ზღვის ბასეინის რაიონების, სარაიონთაშორისო კავშირის შესახებ.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში **ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში** აიგება მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაახლოებით 50 ახალი სამრეწველო საწარმო.

გეგმა ითვალისწინებს ფართო მშენებლობას ნავთის გადამუშავების და ნავთის გადაზიდვის დარგში.

მხარის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მთლიანად დამთავრება და მისი მექანიზაციის ძირითადად დამთავრება, მოსავლიანობის საგრძნობი ამაღლება, მეცხოველეობის დიდად განვითარება გადააქცევენ ჩრდილოეთ კავკასიას საბჭოთა კავშირის პირველხარისხოვან მტკიცე ბაზად.

სოფლის მეურნეობის დარგში **ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა** განვითარდება, როგორც დიდად განვითარებული მებაღეობის და მევენახეობის (მთიანი სანაპირო ზოლი) და მაღალხარისხოვანი ხორბლეულის (ჩრდილოეთში) რაიონი.

დიდი საკურორტო-სანიტარული მშენებლობა, რაც მიღებულია გეგმაში, აძლიერებს ყირიმს, როგორც ჯანმრთელობის საკავშირო კურორტის, მნიშვნელობას და საშუალებას გვაძლევს უფრო დიდი მასშტაბებით გამოვიყენოთ მისი განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობები.

ცენტრალური შავმიწადიანი ოლქის განვითარებას ახასიათებს შავი მეტალურგიის საკუთარი ბაზის შექმნა, კურსკის მაგნიტის ანომალიის რკინისმადნეულის სიმდიდრეების სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება, მანქანათმშენებლობის, ნავთის გადამუშავების დიდად განვითარება, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის საგრძნობლად განვითარება.

ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკა. მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში წარმოადგენს რესპუბლიკის სათბობი ბალანსის საგრძნობი გაუმჯობესება ადგილობრივი სათბობის, კერძოდ, ტორფის ხვედრითი წონის გადიდების მხრივ.

ნედლეულის მსხვილი ბაზის არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ განვითარდეს მსუბუქი მრეწველობა, რომლის საამშენებლო პროგრამაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სელის დამუშავებას.

დასავლეთის ოლქში, სადაც თავმოყრილია გრძელბეწვიანი სელის მთელი საბჭოთა კავშირის სათესი ფართობის დაახლოვებით ერთი მეოთხედი, მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სელის ბოჭკოს მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება, აგრეთვე მისი ხარისხის გაუმჯობესება.

შემდეგში აგრეთვე განვითარდება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა და ლოკომობილების მშენებლობა, საფუძველი ეყრება ტორფ-ქიმიური უდიდესი მრეწველობის განვითარებას.

ოლქის სოფლის მეურნეობის გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა მდგომარეობს საკუთარი ხორბლეულის ბაზის შექმნაში.

ჩრდილოეთის მხარის ძირითად სამეურნეო ამოცანას მეორე ხუთწლედში წარმოადგენს სატყეო მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, ახალი ქარხნების საწარმოო სიმძლავრის სავსებით ათვისება და სატყეო მეურნეობის რაციონალიზაცია.

მეორე ხუთწლედში მხარის სასოფლო-სამეურნეო განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მეცხოველეობის ყოველმხრივ განმტკიცება და განვითარება, სელის ნათესების გაფართოება ხორბლეულის ნათესების გადიდებასთან ერთად.

კარელიის ა.ს.ს. რესპუბლიკის ძირითად ამოცანას სატყეო, ცელულოზა — ქაღალდის და სატყეო ქიმიის მრეწველობის განვითარებასთან ერთად წარმოადგენს თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის ამხ. სტალინის სახ. არხის ათვისება. არხის უდიდესი სატრანსპორტო მნიშვნელობის გარდა, მისი კაშხალების სისტემა წარმოადგენს ჰიდრო-ენერგიის უდიდეს წყაროს, რომელიც გამოყენებული იქნება მეორე ხუთწლედში მრეწველობის, კერძოდ, ალუმინის მრეწველობის განსავითარებლად.

უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა. მეორე ხუთწლედში უკრაინა განვითარდება როგორც ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის, საბჭოთა კავშირში უდიდესი ელექტრომშენებლობის და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი გადამწყვეტი რაიონი კვების და მსუბუქი მრეწველობის საგრძნობ განვითარებასთან ერთად.

უკრაინის მნიშვნელობას მეორე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მხრივ ახასიათებს შემდეგი ცნობები: თუჯის გამოდნობა, რომელიც 4,2 მილიონ ტონიდან გაიზრდება 10,6 მილიონ ტონამდე 1937 წელს, შეადგენს საბჭოთა კავშირში გამოდნობილი მთელი თუჯის 55,8 პროცენტს; გლინული ლითონის გამოშვება — 2,4 მილიონი ტონიდან 7,3 მილიონ ტონამდე ანუ საბჭოთა კავშირის მთელი პროდუქციის 52,1 პროცენტს; ქვანახშირის ამოღება გაიზრდება 72 მილიონ ტონამდე, რაც შეადგენს საბჭოთა კავშირში ამოღებული მთელი ქვანახშირის 48 პროცენტს, რკინის მადნის ამოღებამ უნდა მიაღწიოს 17,5 მილიონ ტონას ანუ საბჭოთა კავშირში მოპოვებული მთელი მადნის 48,4 პროცენტს; ალუმინის წარმოება შეადგენს 50 პროცენტს, ტრაქტორების — 36 პროცენტს, ორთქლმავლების — 60,1 პროცენტს, კალცინირებული სოდის — 48 პროცენტს, მარგანეცის მადნის ამოღება — 60,1 პროცენტს.

ახალ ამოცანას, რომელიც დასახულია უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის წინაშე, წარმოადგენს მსუბუქი და კვების მრეწველობის მძლავრი განვითარება.

უკრაინის უდიდეს ინდუსტრიალურ ზრდასთან შეფარდებით შემდეგში განვითარდება მისი ენერგეტიული ბაზაც: ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 9,7 მილიარდ კილოვატს ანუ საბჭოთა კავშირში გამომუშავებული მთელი ენერგიის 25,8 პროცენტს; უკრაინაში შეიქმნება მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი ენერგეტიული სისტემა.

რკინისგზის ტრანსპორტის დარგში, საჭიროა აღინიშნოს დონბასის გზების ელექტროფიკაცია, რაც დაპროექტებულია გეგმით, ჩრდილოეთისაკენ გამოსასვლელი გზების განვითარება, განსაკუთრებით კი დონბას - მოსკოვის მაგისტრალის აგების დამთავრება.

მეორე ხუთწლედი ძირითადად ამთავრებს უკრაინის სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რიცხვი 573-დან 1000-მდე გაიზრდება, რომლებიც მთლიანად გაუწევენ მომსახურებას ყველა კოლმეურნეობას.

ამიერ - კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა. ამიერ - კავკასიის მრეწველობის მთავარ დარგს წარმოადგენს ნავთის მრეწველობა. ნავთის ამოღება 1932 წლის 12,6 მილიონი ტონიდან გაიზრდება 1937 წლის 30 მილიონ ტონამდე. ამ პროგრამის შესრულება მოითხოვს მთელი რიგი ახალი რაიონების „ლოკბატანის", კალის, სულუ-ტეპეს და სხვ. გადაცემას საექსპლოატაციოდ, ნავთის მომპოვებელი მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის და ნავთის გადამამუშავებელ ახალი ქარხნების მშენებლობის რეკონსტრუქციის მთლიანად დამთავრებას. მეორე ხუთწლედში აგრეთვე უნდა განვითარდეს მრეწველობის სხვა მთელი რიგი დარგების წარმოება. ზანგეზურის და ალავერდის კომბინატების რეკონსტრუქციის ხარჯზე გაფართოვდება ფერადი ლითონის წარმოება დიდი მასშტაბით. განვითარდება ქიმიური და სამთამადნო მრეწველობა. საკუთარი ნედლეულის ბაზაზე აშენდება მსუბუქი მრეწველობის 20 საწარმო და კვების მრეწველობის 37 საწარმო. 1935 წელს დაიწყება დაშქესანის უდიდესი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის შავი მეტალურგიის განვითარებას ამიერ - კავკასიაში. მანქანათმშენებლობის პროდუქცია გაიზრდება 3,4—ჯერ, ქვანახშირის — 7-ჯერ ნავთის — 2,4-ჯერ ბამბის ქსოვილების — 4,6-ჯერ, ფეხსაცმლის — 5-ჯერ, კონსერვების — 3,8-ჯერ.

ამიერ - კავკასიის მეურნეობაში უდიდეს როლს თამაშობს ენერგეტიკა. სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპები, ტრანსპორტის ელექტროფიკაცია მოითხოვენ თეთრი ნახშირის უმდიდრესი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

მეორე ხუთწლედში აშენდება და გაფართოვდება 10 ელექტრო -სადგური, მათ შორის ისეთი სადგურები, როგორიცაა: კანაკირის სადგური — 88 ათასი კილოვატი, გიუმუშის — 140 ათასი კილოვატი, ხრამის, ტერტერის და სხვა სადგურები. ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა რაიონულ სადგურებზე 12-ჯერ უზრუნველყოფს მრეწველობის ელექტროფიკაციას, რკინისგზების ყველა ტვირთდაძაბული უბნის ელექტროფიკაციას 600 კილომეტრის მანძილზე და მთელი რიგი სხვა ამოცანების გადაჭრას.

სოფლის მეურნეობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივი განვითარება სუბტროპიკული კულტურების, ძვირფასი სპეციალური ნარგავების—ჩაის, რამის და სხვ., და ციტრუსების—ლიმონის, მანდარინის და სხვ., სოფლის მეურნეობის ძველი დარგების—მებაღეობის, მევენახეობის და მეთამბაქოეობის ზრდასთან ერთად. ამიერ-კავკასიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზას წარმოადგენს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბამბის კულტურას. ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ჩვენ ძირითადად უნდა გადავჭრათ მეორე ხუთწლედში, წარმოადგენს წყალთა მეურნეობის პრობლემა.

პირველ ხუთწლედში დაწყებული საირიგაციო მშენებლობის დამთავრებით, არსებული საირიგაციო სისტემის რეკონსტრუქციით, წყლის გამოყენების გაუმჯობესებით და ჭაობების ამოშრობის დიდი სამუშაოს ჩატარებით ჩვენ მივიღებთ ახალ ფართობებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს საგრძნობლად გავადიდოთ ძვირფასი სპეციალური და სუბტროპიკული კულტურების ნათესები, ეგვიპტური ჯიშის ბამბის ნათესები იზრდება 8-ჯერ, საბჭოთა ამიერ-კავკასიის საერთო ხვედრითი წონა ბამბის პროდუქციაში 10,1-დან 12,2 პროცენტამდე მატულობს, ჩაის ნარგავების ფართობი იზრდება 55 ათას ჰექტარამდე, რამის ფართობი—6, 5-ჯერ, ციტრუსების ფართობი—2,4-ჯერ 20.000 ჰექტარამდე ტუნგოს ხის ნარგავები—0,3-დან 10 ათას ჰექტარამდე და სხვ..

ვიწრო ადგილს წარმოადგენს გზები, გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ უდიდეს ღონისძიებებს სატრანსპორტო მეურნეობის გაძლიერების ხაზით, მთავრდება მთელი რიგი სარკინიგზო ხაზების მშენებლობა (კატარის შტო, ალიატ-ჯულფა, ოჩემჩირე-ადლერი, ბაქოს შემოსავლელი გზა, ევლახ-სტეპანაკერტი), მთელ რიგ უბნებში უკვე აგებენ მეორე ლიანდაგს, შენდება საუღელტეხილო გზა კავკასიონის ქედზე, ფართო მასშტაბით ტარდება რკინის გზების ელექტროფიკაცია, შენდება მთელი რიგი მსხვილი ავტოსაქანაო გზები.

შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ სატრანსპორტო პრობლემის კერძოდ ნავთის ტრანსპორტირების პრობლემის გადაჭრა, ენერგეტიკის და წყალთა მეურნეობის პრობლემის გადაჭრასთან ერთად საფუძველთა საფუძველი იქნება ამ უმდიდრესი რაიონის შემდგომი განვითარებისათვის. აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული ყურადღება და ღონისძიებანი მეორე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

შუა აზია. შუა აზია წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მებამბეობის ძირითად ბაზას.

მეორე ხუთწლიანი გეგმა სახავს შემდგომ სამუშაოებს საირიგაციო ქსელის გაფართოების დარგში.

ამგვარად იქმნება ყველა საჭირო საშუალება მებამბეობის ძირითადი პრობლემის — მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების პრობლემის გადაჭრისათვის.

მეორე ხუთწლედის დამლევს ძირითადად უკვე უზრუნველყოფილი იქნება შუააზიის მომარაგება საკუთარი საფეიქრო მრეწველობის პროდუქციით. ალმალიკის სპილენძის კომბინატის მშენებლობით იწყება ალმალიკის სპილენძის უდიდესი საბადოს ექსპლოატაცია, პირველად იწყება მირობილიტის მსოფლიო მნიშვნელობის მარაგის ექსპლოატაცია ყარაბუღაზში, საგრძნობლად ფართოვდება ნავთის ქვანახშირის და სხვ. მოპოვება.

ლენინ-სტალინის დროშით

დიად სამუშაოთა მეორე ხუთწლიანი გეგმა ფართოდ და ღრმად სწვდება საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეს, ბოლო ეღება ეკონომიკის მრავალსახიანობას და წარმოების სოციალისტური წესი ხდება წარმოების ერთადერთ წესად საბჭოთა კავშირში, სოციალისტური მშენებლობის პროცესში იქმნება ახალი ადამიანი და ამოიფხვრება კაპიტალისტური ნაშთები ადამიანთა შეგნებაში.

ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური ნაშთების ამოფხვრის პროცესი წარმოებს ყოველდღიურად. ყოველსაათობით, იგი იჭრება ჩვენი ქვეყნის ყველაზე მივარდნილ კუთხეებში, ამსხვრევს ყველაზე დახავსებულ საუკუნეობრივ ჩვეულებებს და ცრუ შეხედულებებს, ახალი ცხოვრების ნათელ გზაზე გამოჰყავს მოსახლეობის წინად ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და დაბეჩავებული ფენები.

ჩვენი ეპოქის სიდიადე—ეს არის მჭედლების და მეჯინიბეების ყრილობა, რომელიც იკრიბება კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში და იხილავს ცხენის და ინვენტარის მოვლის საუკეთესო საშუალებებს და მეთოდებს, სტალინგრადის ქარხნის 9.000 მუშა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა ტექნიკურ მინიმუმზე, ახალგაზრდა ოსი ინჟინერი, აღზრდილი გამარჯვებული პროლეტარიატის მიერ, რომელიც გაბედულად ამუშავებს ელექტროსხმული თუთიის ქარხანას, ელექტროქარხნის მუშა ქალი, გუშინდელი დიასახლისი, რომელიც დღეს გამოდის სიტყვით ელექტრომრეწველობის ბედის და პერსპექტივების შესახებ.

ჩვენი ეპოქის სიდიადე—ეს არის დიდი პოლიტიკური სიმწიფე მუშათა კლასისა, რომელმაც შესძლო უზრუნველეყო სოციალიზმის გამარჯვება ჩამორჩენილ ქვეყანაში, მუშათა და კოლმეურნეთა მილიონები, რომლებიც უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს იმას, რაც ხდება საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს იქით, უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობენ სოციალიზმის მშენებლობის მთელი საქმისათვის.

მრავალი ათეული მილიონი ადამიანის ნებისყოფის და ძალღონის კონცენტრირება — ჩვენი გამარჯვების საუკეთესო საწინდარია.

მეორე ხუთწლედის პროგრამა **ლენინური იდეების ზეიმის, სოციალიზმის შემდგომი შეტევითი ზრდის დიდი პროგრამაა.**

ეს პროგრამა, რომლის განხორციელება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება, ისე როგორც ყოველივე დიდი ჩვენს ბრძოლაში, შექმნილია **ამხ. სტალინის მიერ.** ჩემი სიტყვის დასაწყისში მე უკვე ვთქვი, რომ **ამხ. სტალინის გენიალური გამჭრიახობით გამოჭედილია მეორე ხუთწლედის ძირითადი ლოზუნგები** — კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების სავსებით მოსპობა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ სხვადასხვაობას და ექსპლოატაციას სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება და თვითეული მუშის და კოლმეურნის არსებობის ისეთი მატერიალური პირობების შექმნა, როცა თვითეული მათგანის ცხოვრება იქნება შეძლებული და კულტურული.

ამხ. სტალინის ინიციატივით მეორე ხუთწლედში დასახულია ტრანსპორტის რეკონსტრუქციის და საქონელბრუნვის განვითარების ისეთი ფართო პროგრამა, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების ისეთი სწრაფი ტემპები, ადგილობრივი მრეწველობის განვითარება გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს აქამდის იყო — ეს ამხ. სტალინის იდეაა. მისი იდეაა მთელი პარტიის ყურადღების გამახვილება მეცხოველეობის სწრაფ განვითარების აუცილებლობაზე.

გადამწყვეტი გეზის და დირექტივების გარდა, ამხ. სტალინმა დასახა აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების მთელი რიგი კონკრეტული გეგმები. მეტალურგიული ქარხნების მშენებლობის პროგრამა — ეს არის ამხ. სტალინის მიერ დასახული პროგრამა. დეტალურად, ყურადღებით განიხილა ამხ. სტალინმა ქარხნების აგების საკითხი და მიგვითითა მშენებლობის იმ ობიექტებზე, რომლებიც პირველ რიგში უნდა აშენდეს მეორე ხუთწლედში. ამხ. სტალინის მიერ დაწესებულია აგრეთვე სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნების აგების პროგრამა. გზათა სახალხო კომისარიატის სარემონტო ბაზის შექმნა, მთელი რიგი სალოკომოტივო და სავაგონო სარემონტო ქარხნების აშენება — ეს პროგრამაც დასახულია ამხ. სტალინის მიერ. საავტომობილო ქარხნების მშენებლობა — პირდაპირ სტალინის ხელით ჩაწერილია, რომელი ქარხანა, სად და როგორი სიმძლავრის უნდა აშენდეს. საზღვაო გემთმშენებლობის ქარხნების აგების პროგრამა დასახულია ამხ. სტალინის მიერ, სინთეტიური კაუჩუკის ქარხნების მშენებლობის პროგრამა ნაკარნახევია ამხ. სტალინის ნებისყოფით და დაჟინებით. ალუმინის ქარხნების მშენებლობა განსაზღვრულია ამხ. სტალინის მიერ. საავიაციო ქარხნები შენდება იმ ადგილებში და ისეთი სიმძლავრით, როგორიც მიგვითითა ამხ. სტალინმა რკინის გზის ძირითადი მაგისტრალების მშენებლობის პროგრამა, საგზაო მშენებლობის პროგრამა (ისეთი დიდი საგზაო მაგისტრალების მშენებლობა, როგორიცაა მოსკოვ-ხაბაროვსკი, მოსკოვ-ტფილისი და სხვ.) — ყოველივე ეს ნაკარნახევია ამხ. სტალინის მიერ. თეთრი ზღვის არხი, ვოლგა-დონის არხი, მარიის სისტემის მშენებლობა— ყოველივე ეს ამხ. სტალინის ინიციატივაა. მე არ მაქვს საშუალება ჩამოვთვალო სოციალისტური მშენებლობის ყველა ის უბანი, რომელთა მიმართ ამხ. სტალინმა მოგვცა შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა.

ასე, დიდი ბელადის ხელმძღვანელობით, წარმოიშვა მეორე ხუთწლედში სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობითვე ეს პროგრამა შესრულებული იქნება. მას ანხორციელებს დავაჟკაცებული და მომწიფებული, ინტერვენტებთან ბრძოლაში გამობრძმედილი მუშათა კლასი, რომელმაც უმოკლეს ვადაში აღადგინა თავისი სახალხო მეურნეობა, ოთხ წელიწადში შეასრულა პირველი ხუთწლედი; ანხორციელებს მრავალმილიონიანი გლეხობა, რომელმაც კავშირი გასწყვიტა წვრილბურჟუაზიულ მეურნეობასთან და, რომელიც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აშენებს თავის მეურნეობას სოციალისტურ საფუძველზე.

მუშათა კლასის გამარჯვებათა უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მისი ორგანიზებულობის ზრდა, პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცება, კაპიტალისტური კლასების ნაშთებთან ბრძოლა, ყოველგვარი სახის ოპორტუნიზმთან ბრძოლა, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის ორგანიზაციული გარდაქმნა მეორე ხუთწლედის პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს იმის განსახიერებას, რაც საუკეთესოა მუშათა მსოფლიო მოძრაობაში, — ჩვენი დიადი ქვეყანა მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ჩვენი საბჭოთა კავშირი, მძლავრი მაღალინდუსტრიალური სოციალისტური სახელმწიფო მტკიცედ და მხნედ მიდის კომუნიზმისაკენ (ტაში. ხანგრძლივი ტაში).

ყრილობის დღიური

7 თებერვლის დილის სხდომას ხსნის ამხ. **მოლოტოვი.** ამხ. **კაგანოვიჩის** მოხსენების ირგვლივ კამათში გამოდიან ამხ. **ფურერი** (დონბასი), ამხ. **ლიხაჩევი** (სტალინის სახელობის ავტოქარხანა), ამხ. **ანდრიევი** (გზათა სახალხო კომისარი), ამხ. **უზარიცი** (ლენინგრადი), ამხ. მ. **კალინინი**, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშით ხვდება. [illegible] **კიმი.** ამხ. [illegible] გამოსვლით მთავრდება ყრილობის დილის სხდომა.

7 თებერვლის საღამოს სხდომაზე, რომელიც გახსნა ამხ. **მოლოტოვმა** თავმჯდომარეობით, გრძელდება კამათი ამხ. **კაგანოვიჩის** [illegible] კამათში გამოდიან ამხ. **კოსიორი** (ს[illegible] კავშირი პროფსაბჭო), ამხ. **მაკაროვი** (დასავლეთის ოლქი), **შკირიატოვი**, **პოლონსკი** (გზათა სახ. კომისარიატის პოლიტსამმართველო), **კარპოვა** (ლენინგრადი), **კამინსკი** (მოსკოვი), **მრუხკინი** (ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი).

ყრილობის დარბაზში გამოცხადდნენ ლენინგრადის მუშების და მუშა-ქალების დელეგაცია. დელეგაციის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. [illegible], და ამხ. [illegible] მუშათა დელეგაციის [illegible] წარმოადგენს [illegible] ყრილობას [illegible] ტექნიკური [illegible] ამხ. **უშაკოვის** [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა

ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. მოლოტოვი (მთელი დარბაზი მას ხანგრძლივი ტაშით ხვდება, დარბაზში გაისმის შეძახილი „ვაშა“):

— ამხანაგებო, კამათმა ყრილობაზე დაგვანახვა, რომ მე-17 პარტყრილობის დელეგატები ერთსულოვანნი არიან და რომ მეორე ხუთწლედის თეზისები მიღებულ უნდა იქნან საფუძვლად.

ადგილების დელეგატების და ჩვენი მშენებლობის ცალკე დარგების მუშაკების გამოსვლამ ცხადჰყო, რომ მათი წინადადებები არ არის მიმართული მეორე ხუთწლედის გეგმის ძირითადი ნაწილების შეცვლისაკენ. მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს საკითხი, რომელიც შეეხება ცალკე რაიონებს და მეურნეობის ცალკე დარგებს, განსახილველად უნდა გადაეცეს კომისიას, რომელიც უნდა აირჩიოს ყრილობამ.

მაგრამ საჭიროა გამოვყოთ ერთი საკითხი, რომელიც აქ კამათის დროს დასვეს ამხ. ორჯონიკიძემ, მიქოიანმა და ლიუბიმოვმა. ამხ. ორჯონიკიძის, მიქოიანის და ლიუბიმოვის იმ წინადადებათა საერთო აზრი, რომლებიც მათ შემოიტანეს პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის წევრებთან შეთანხმებით, მდგომარეობს იმაში, რომ გამოვიჩინოთ გაძლიერებული სიფრთხილე მეორე ხუთწლედის დავალებებში.

კონკრეტულად ეს წინადადებები გამოიხატება, დაახლოვებით, ასეთ ციფრებში: სამრეწველო პროდუქციის საერთო ყოველწლიური მატება ხუთწლედის განმავლობაში დაწესდეს არა 18,9 პროც., არამედ 16,5 პროცენტი. ლაპარაკია იმაზე, რომ მოვახდინოთ სამრეწველო პროდუქციის ზრდის ყოველწლიური ტემპის ერთგვარი შემცირება, მაგრამ დავაწესოთ ჩვენი მრეწველობის ზრდის ისეთი ტემპები მთელი ხუთწლიანი პერიოდისთვის, რომელზედაც ოცნებობაც კი არ შეუძლია არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას. მაგრამ მრეწველობის ზრდის ყოველწლიური ტემპების დაწესებაც 16,5 პროცენტის რაოდენობით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს შეუძლია პრაქტიკულად დაისახოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან უდიდესი გამარჯვება მოიპოვა პირველ ხუთწლედში.

საქმე ეხება იმას, რომ გამოვიჩინოთ გაძლიერებული სიფხიზლე მეორე ხუთწლედის ვარაუდებში. სწორია, თუ არა ეს წინადადება?

პირველ ყოვლისა დავსვათ საკითხი: შეიძლება თუ არა იმ დავალებების შესრულება, რომლებიც წამოყენებულია ცენტრალური კომიტეტის თეზისებში მე-17 ყრილობისათვის დიახ, შეიძლება. ყრილობა სამ დღეს იხილავდა მეორე ხუთწლედის პროგრამას და ყრილობის არცერთ დელეგატს არ უთქვამს, რომ ეს პროგრამა და მის მიერ დასახული ტემპები განუხორციელებელია. პირიქით, ყველა გამოსვლა ყრილობაზე გვეუბნება: დიახ. ეს პროგრამა, დასახული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თეზისებში ყრილობისათვის, სავსებით შეიძლება შესრულებულ იქნას. მთელმა მე-17 ყრილობამ გამოთქვა მტკიცე ერთსულოვანი აზრი: დიახ, ჩვენ ვიბრძვით ამ პროგრამის შესრულებისათვის, ეს დავალებები ჩვენთვის მისაღებია, მათი შესრულება სავსებით შესაძლებელია, ჩვენ მათ შევასრულებთ! (ტაში). თუ ისეთი ყრილობა, როგორიცაა ბოლშევიკური პარტიის მე-17 ყრილობა, ერთსულოვანია ამ საკითხში, ეს ნიშნავს, რომ არავითარი იჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ საქმე გაკეთდება, რომ მეორე ხუთწლედის ამ პროგრამის შესრულება სავსებით შესაძლებელია.

ამავე დროს, ამხანაგებო, ჩვენს წინაშე დასმულია ასეთი საკითხი. ჩვენს წინაშე დასმულია ზოგადი საკითხი, პირობები, რომლებშიაც ჩვენ ვმუშაობთ და რომელშიაც მოგვიხდება მეორე ხუთწლედის შესრულება. საქმე ეხება ისეთ საგნებს და ისეთ პირობებს, რომლებიც სავსებით ჩვენზე არ არის დამოკიდებული. საქმე ეხება იმას, რომ, საბოლოოდ ვღებულობთ რა მეორე ხუთწლედის პროგრამას, ანგარიში გავუწიოთ, როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ყრილობაზე შემოტანილ წინადადებას იმის შესახებ, რომ მეორე ხუთწლედის დავალებებში გამოვიჩინოთ ერთგვარი სიფხიზლე. რატომ არის ეს საჭირო? ეს საჭიროა იმიტომ, რომ დავალებები, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ პარტიის მე-17 ყრილობაზე, ეს დავალებები შესრულებულ უნდა იქნას ყოველგვარ პირობებში. აი ეს არის მთავარი. პარტიის მე-17 ყრილობაზე ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც პარტია და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელნი შეასრულებენ ყოველგვარი გართულებისა და პირობებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც აუცილებლად შესრულებული იქნება, შესრულებულ იქნება ბოლშევიკურად. ამაში მდგომარეობს ამოცანა (ტაში). ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ხუთწლედის შესრულება. როცა ჩვენ ხელს ვკიდებდით პირველი ხუთწლედის შესრულებას, ამ საქმეს ვიწყებდით სერიოზულად, ჩვენ უზრუნველვყავით არა მარტო პირველი ხუთწლედის შესრულება, არამედ აგრეთვე უზრუნველვყავით პირველი ხუთწლედის შესრულება ოთხ წელიწადში.

ახლა საკითხი ეხება იმას, რომ ახლანდელი პერიოდის მთელი ვითარების გათვალისწინებით ავიღოთ მუშაობის ისეთი ტემპები, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში იმ ხუთწლიან პერიოდში, რომელსაც მეორე ხუთწლედი ეწოდება, სავსებით შესრულებული იქნება ყოველგვარ პირობებში.

შევადაროთ ამხ. ორჯონიკიძის და სხვა ამხანაგების წინადადება. იმ გადაწყვეტილებას მეორე ხუთწლედის ტემპების შესახებ, რომელიც გაერთიანებულმა პლენუმმა მიიღო ერთი წლის წინათ. რა იყო ნათქვამი 1933 წლის იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე? მე მოვიყვან ციტატას ამხ. სტალინის სიტყვიდან მეორე ხუთწლედისა და ტემპების შესახებ. აი რა განაცხადა ამხ. სტალინმა ამ გაერთიანებულ პლენუმზე. მან სთქვა:

„მე ვფიქრობ, რომ მეორე ხუთწლედისათვის უნდა ავიღოთ საშუალოდ სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატების 13—14 პროც., კაპიტალისტური ქვეყნებისათვის სამრეწველო პროდუქციის მატების ასეთი ტემპი მიუღწეველ იდეალს წარმოადგენს. სამრეწველო პროდუქციის მატება ! არა თუ ასეთი ტემპი — ყოველწლიური საშუალო მატების 5 პროცენტიც კი მათთვის ახლა მიუღწეველი იდეალია. მაგრამ სწორედ იმიტომაც არიან ისინი კაპიტალისტური ქვეყნები. სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანა მეურნეობის საკუთარი სისტემით. მეურნეობის ჩვენი სისტემის დროს ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს და კიდეც უნდა განვახორციელოთ პროდუქციის ყოველწლიური მატების 13—14 პროცენტი, როგორც მინიმუმი“.

ამასთან შეფარდებით ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა გასული წლის იანვარში გადაწყვიტა, რომ „სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება მეორე ხუთწლედისათვის დაპროექტებულ უნდა იქნას არა 21—22 პროცენტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ ხუთწლედში, არამედ რამდენადმე ნაკლები, დაახლოვებით 13—14 პროცენტი“.

ამგვარად, სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპის 16,5 პროცენტის რაოდენობით დაწესების წინადადების განხილვისას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ამხ. სტალინის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ და ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მრეწველობის ზრდის ტემპი წესდება, მინიმუმის სახით, 13—14 პროცენტის რაოდენობით. როგორც ხედავთ, დავაწესებთ რა მეორე ხუთწლედისათვის სამრეწველო პროდუქციის მატებას 16,5 პროცენტის რაოდენობით, ჩვენ წინ წავიწევთ ამ ტემპების განხორციელებაში.

ბოლოს, ვისახავთ რა მეორე ხუთწლედში ისეთ დავალებებს, რომლებიც ყოველგვარ პირობაში უნდა შესრულდეს, ჩვენ უნდა მივიღოთ პრაქტიკული ზომები იმისთვის, რომ არა თუ მოვამზადოთ ბოლშევიკურად ჩვენს მზა გეგმებში მოცემულ ამ დავალებათა შესრულება, არამედ ზედმიწევნით უზრუნველვყოთ კიდეც მათი განხორციელება.

მეორე ხუთწლედის წლიურ გეგმებში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედის დავალებათა არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულება.

ეს უნდა ითქვას მიმდინარე წელზე — მეორე ხუთწლედის მეორე წელზე. ვუერთდებით რა წინადადებას მეორე ხუთწლედის სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიურად 16,5 პროცენტით მატების შესახებ, ჩვენ მთლიანად ერთი მეათედი პროცენტის დაუკლებლადაც კი, უნდა შევინარჩუნოთ პარტიის და მთავრობის მიერ 1934 წლისათვის—მეორე ხუთწლედის მეორე წლისათვის მიღებული დავალება. ხოლო ეს დავალება, როგორც ცნობილია, განისაზღვრება 19 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე 1934 წლისათვის ჩვენ ვიღებთ გადიდებულ დავალებებს ხუთწლედის საშუალო ტემპებთან შედარებით. ამით ჩვენ ცხადვყოფთ, თუ როგორ გვსურს მოვამზადოთ პროგრამის შესრულება მეორე ხუთწლედში, სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიურად 16,5 პროცენტით გადიდების დროს. დაგეგმილია ერთი რამ — სათანადოდ უზრუნველვყოთ 1934 წლის, ე. ი. მეორე ხუთწლედის მეორე წლის დავალების შესრულება.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყრილობა გამოიჩენს ერთსულოვნებას ამ საკითხში და დარაზმავს მთელ ძალებს მიმდინარე წლის პროგრამის და მეორე ხუთწლედის მთელი გეგმის შესასრულებლად (ტაში).

რას ნიშნავს აქ ჩემ მიერ დასახელებული ამხანაგებისაგან გამოტანილი გადაწყვეტილების მიღება? იგი ნიშნავს შემდეგს:

მთელს მრეწველობაში მეორე ხუთწლედის მანძილზე იგი იძლევა სამრეწველო პროდუქციის გადიდებას ყოველწლიურად 16,5 პროცენტით, საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის ხაზით ყოველწლიურ მატებას — 14,5 პროცენტით და მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის ხაზით ყოველწლიურ მატებას — 18,5 პროცენტით. როგორც ხედავთ, ცენტრალური კომიტეტის თეზისებთან შეფარდებით ეს წინადადება უზრუნველყოფს არა მარტო მთელი მრეწველობის უდიდეს ზრდას, არამედ, განსაკუთრებით, ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის გაძლიერებულ ზრდასაც.

„რას ნიშნავს ეს წინადადება მრეწველობის საერთო პროდუქციის მთელი ოდენობის მხრივ? იგი ნიშნავს, რომ, თუ პირველი ხუთწლედის დამლევს — 1932 წელს — მთელმა მრეწველობამ ჩვენ მოგვცა 43 მილიარდი მანეთის პროდუქცია, მეორე ხუთწლედის დამლევს — 1937 წელს — ჩვენმა მრეწველობამ უნდა მოგვცეს 92,7 მილიარდი მან. პროდუქცია. ეს ნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის საერთო წლიური ოდენობა გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ. აი რას ნიშნავს ეს დავალება სამრეწველო პროდუქციის ზრდის ხაზით.

აღნიშნული წინადადება არ ეხება კაპიტალურ სამუშაოთა საკითხს — ყველა დავალება მეორე ხუთწლედის კაპიტალურ სამუშაოთა ზრდის დარგში, როგორც იგი დასახული იყო ყრილობის თეზისების პროექტში, მთლიანად რჩება ძალაში. ამგვარად, სახალხო მეურნეობის ხაზით კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა, როგორც ეს აღნიშნულია ყრილობის თეზისებში, დიდდება პირველი ხუთწლედის 55,5 მილიარდი მანეთიდან 133,4 მილიარდ მანეთამდე მეორე ხუთწლედში, ე. ი. კაპიტალურ სამუშაოთა მატება მეორე ხუთწლედში, პირველ ხუთწლედთან შედარებით, მთელ სახალხო მეურნეობაში შეადგენს 164 პროც.; მრეწველობაში მთლიანად — 130 პროცენტს, მსუბუქ მრეწველობაში — 360 პროცენტს. ჩვენ მთლიანად ვტოვებთ ყველა ამ დავალებას კაპიტალურ სამუშაოთა დარგში, არაფერს ვცვლით მათში, თეზისებთან შედარებით და ამით ჩვენ აგრეთვე ვიჩენთ კარგ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, რომელიც მეორე ხუთწლედში გათვალისწინებული მშენებლობის უდიდესი გაქანების დროს, უზრუნველყოფს ჩვენთვის მრეწველობის რამდენადმე შემცირებულ დავალებათა კიდევ უფრო მეტად შესრულებას. ვღებულობთ რა ამ დავალებას კაპიტალურ სამუშაოთა დარგში, ჩვენ სავსებით და მთლიანად უზრუნველვყოფთ მეორე ხუთწლედის სამრეწველო პროდუქციის პროგრამის შესრულებას და ვამზადებთ მძლავრ ბაზას მესამე ხუთწლედის სახალხო მეურნეობის უდიდესი ზრდისათვის.

აი, ამხანაგებო, იმ გადაწყვეტილებათა აზრი, რომელთა შესახებაც ახლა ლაპარაკია. ვფიქრობ, რომ ეს წინადადება უნდა მივიღოთ. ამ წინადადების მიღება იქნება ბოლშევიკური სიფხიზლის გამოხატულება, რომელიც მოითხოვს მთელი იმ ვითარების სერიოზულ გათვალისწინებას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. და ამ წინადადების მიღებით ჩვენ მთლიანად უზრუნველვყოფთ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში მეორე ხუთწლედისათვის აღებულ გეზის შენარჩუნებას, მაშასადამე, უზრუნველვყოფთ მეურნეობის გიგანტურ ზრდასაც, ჩვენი ქვეყნის საარსებო დონის, კულტურის უდიდეს ამაღლებას.

თუ პარტყრილობის თეზისებს ამ შესწორებებით მივიღებთ, ჩვენ გამოვიჩენთ ბოლშევიკურ სიფხიზლესაც და ცხადვყოფთ მეორე ხუთწლედის ძირითადი ხაზის ბოლშევიკურ სიმტკიცესაც. ეს ხაზი მთლიანად უზრუნველყოფს მუშათა კლასის ინტერესებს, ეს არის სოციალიზმი.

ახალი ხუთწლედის პროგრამის მიღება საქმის მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ უნდა გაიშალოს ნამდვილი ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. ხუთწლედი, თუმცა იგი მეორე ხუთწლედია, თავისთავად ვერ გაიმარჯვებს. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ მოვაწყოთ გამარჯვება, ჩვენი ამოცანა ისაა, რომ ამ გამარჯვებას მაგარი ბოლშევიკური ხელით დავეუფლოთ (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში).

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

4 თებერვლის საღამოს სხდომაზე

ყრილობა ფეხზე ამდგარი ესალმება ამხ. ორჯონიკიძეს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

ამხ. ორჯონიკიძე ამბობს: — მე არ ვფიქრობ, ამხანაგებო, დიდხანს შევაჩერო თქვენი ყურადღება. ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებებში მოცემულია მეორე ხუთწლედის ჩვენი მორიგი მშენებლობის მთელი სურათი. მე მხოლოდ მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ზოგიერთი ამხანაგების მისამართით, რომლებიც გამოდიან აქ და თითქოს გამოსთქვამენ თავის უკმაყოფილებას ან კაპიტალური მშენებლობის იმ მოცულობით, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, ან საწარმოო პროგრამის იმ მოცულობით, რომელსაც აქ აყენებენ. გაისმის ხმები: ააშენეთ ესა და ეს ქარხანა ჩვენს ოლქში, ააშენეთ ქარხანა ჩვენს რესპუბლიკაში და სხვ. ეს-ეს არის ამხ. რიაბინინი ლაპარაკობდა, რომ ცენტრალურ შავმიწადაგიან ოლქში ავაშენოთ ამ ხუთწლედში მეტალურგიული ქარხანა. თავისთავად ცხადია, რომ ეს მოთხოვნები გამოწვეულია კარგი სურვილით ააშენონ რაც შეიძლება მეტი ქარხანა, მიიღონ მეტი პროდუქცია. ამასთან უეჭველია, რომ ჩვენ ავაშენებთ მეტალურგიულ ქარხანას კურსკის მაგნიტის ანომალიის საფუძველზე და ავაშენებთ საავტომობილო ქარხანასაც ციმბირში, მაგრამ, ჩემის აზრით, ჩვენ არ შეგვიძლია მოვაქციოთ მთელი ეს მშენებლობა მეორე ხუთწლედში.

ჩვენ რომ ახლა წავსულიყავით იმ ხაზით, რომ ყველაფერი ის, რასაც ჩვენი ოლქები და რესპუბლიკები მოითხოვენ, შეგვეტანა მეორე ხუთწლედის გეგმაში, აქედან გამოვიდოდა არა ხუთწლედი, არამედ სულ სხვა რაღაც. (ხმები: ათწლედი).

ამხ. ორჯონიკიძე: დიახ, გამოვიდოდა ათწლედი. ჩვენ გვინდა გვქონდეს ისეთი ხუთწლედი, რომლის შესრულებაც შეიძლებოდეს ჩვენი ქვეყნის ძალების და სახსრების უდიდესი დაჭიმვით (ტაში).

თავისთავად ცხადია, რომ არავის არ შეუძლია შეგვიშალოს ხელი და იმის მიხედვით, თუ როგორ წავა მუშაობა წლიდან წლამდე, ისე, როგორც ჩვენ ამას ჩვდიოდით პირველ ხუთწლედში, გავადიდოთ ჩვენი საკონტროლო ციფრები წლითიწლობით (გამოცოცხლება).

თუ შევასრულებთ პროგრამას, ვერავინ ვერ შეაჩერებს ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს იმისაგან, რომ მოგცეთ მომავალ წელს უფრო მეტი საწარმოო პროგრამა. ამიტომ მოდით, ამხანაგებო, შევასრულოთ ის, რაც მოცემული გვაქვს (ტაში).

თუ ვინმე იფიქრებდა იმის თქმას, რომ მეორე ხუთწლედში შემცირდა ზრდის ტემპები, რომ უფრო ნაკლები გახდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა (ოდესღაც ხომ ლაპარაკობდენ კაპიტალური მშენებლობის ქრობადი ხაზის შესახებ), ჩვენ მას ვუპასუხებდით: აიღეთ პირველი ხუთწლედი, შეადარეთ იგი მეორე ხუთწლედს. პირველ ხუთწლედში ჩვენ მთელ სახალხო მეურნეობაში დავაბანდეთ 50 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედში კი კაპიტალურ მშენებლობაში ვაბანდებთ 133 მილიარდ მანეთს, ე.ი. ზრდაა 264 პროცენტით. გვითხარით სად, რომელ ქვეყანაში და როდის ყოფილა ასეთი ტემპები—არსად, ვერ დაგვისახელებთ ასეთ ქვეყანას. ყველაზე უფრო დიდი ტემპები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, იყო ამერიკის აყვავების წლებში, როცა პროდუქციის ზრდა უდრიდა დაახლოვებით 8 პროცენტს წელიწადში, ხოლო დანარჩენ წლებში ზრდის პროცენტი ამერიკაშიც და ევროპაშიც მერყეობდა 3-დან 5 პროცენტამდე წელიწადში. 5 პროცენტი ზრდა უდიდეს მიღწევად ითვლება. შეხედეთ ჩვენი განვითარების ტემპებს. პირველი ხუთწლედი ჩვენ დავამთავრეთ 21 პროცენტის ზრდით ყოველწლიურად. მეორე ხუთწლედი ისახავს უდიდეს ზრდას. ნება მიბოძეთ აქ გამოსული ამხანაგების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მოითხოვდენ ტემპების კიდევ უფრო გაძლიერებას, დადგენილების პროექტში შევიტანო პატარა შესწორება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოვახდინოთ ცოტა შემცირება. აქვე ნება მიბოძეთ დავსძინო, რომ პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის წევრები ამ წინადადებას ეთანხმებიან. შესწორება მდგომარეობს შემდეგში: რეზოლუციის პროექტში, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეს, მთელი მრეწველობის ყოველწლიური ზრდა ნავარაუდევია 18,9 პროც., აბსოლუტურ ციფრებში ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენი პირველი ხუთწლედის დამლევისათვის გვქონდა 43 მილიარდი მანეთის პროდუქცია, 1937 წლისათვის ნავარაუდევია 103 მილიარდის პროდუქცია, ე.ი. ზრდა უდრის 237 პროცენტს 1932 წლის მიმართ. და მთელი ჩემი შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ 1937 წელს ამ 103 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციის ნაცვლად, დავაწესოთ 92,7 მილიარდი მანეთი — მრეწველობის ყოველწლიური ზრდა 16,5 პროცენტით. ამასთან სავსებით დავტოვოთ კაპიტალური დაბანდების ვარაუდი, რაც გამოიხატება უდიდეს თანხაში — 133,4 მილიარდ მანეთში, ნაცვლად პირველ ხუთწლედში დაბანდებულ 60,5 მილიარდი მანეთისა, — ზრდა 264 პროცენტით 1932 წლის მიმართ. ზრდაა თითქმის 260 პროცენტით, თითქოს, ეს პროცენტი არც თუ ისე მცირეა.

მოლოტოვი: არ არის მცირე.

ვოროშილოვი, ვარეიკისი, კიროვი: — სწორია.

ამხ. ორჯონიკიძე: ფოლადი, 1932 წლის 5,8 მილიონის ნაცვლად, 17 მილიონი 1937 წელს—ზრდა ისეა 293 პროც. და ტკეცილი ლითონი 13 მილიონი ტონა 1937 წელს ანუ 302 პროცენტი, 1932 წელთან შედარებით. ვფიქრობ, რომ ეს ზრდა და ეს ტემპები წარმოადგენენ უსათუოდ განსაკუთრებულ, ლენინურ, სტალინურ ტემპებს. ციფრების არავითარი წაშლა, არავითარი გაბერვა, არამედ დავეყრდნოთ რეალურ მდგომარეობას და მივაღწიოთ გეგმის მთლიანად შესრულებას (ტაში).

ხმები: სწორია.

ამხ. ორჯონიკიძე: მანქანათმშენებლობის დარგში. საჭიროა შევუნარჩუნოთ მანქანათმშენებლობას მისი დიდი ხვედრითი წონა სამრეწველო პროდუქციაში, რაზედაც მიუთითა ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების და რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს პირობაზე. მანქანათმშენებლობა—მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღები, რომელიც მოხერხებულად და რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ, — ჩვენ წინადადებას ვიძლევით გადიდდეს ამ ხუთწლედში 217 პროცენტით. ვფიქრობ, რომ ეს არ არის მცირე პროცენტი.

რკინის გზის ტრანსპორტის ხაზით ჩვენ წინადადებას ვიძლევით იმ ციფრების ნაცვლად, რომლებიც მოცემულია პროექტში, გადიდებულ იქნას ვაგონების რიცხვი: 22 ათასი ვაგონის ნაცვლად, რომლებიც ჩვენ გამოვუშვით 1932 წელს, გამოშვებულ იქნას 110 ათასი ვაგონი, ე.ი. გადიდდეს 5-ჯერ და კიდევ უფრო მეტად—256 პროცენტით და ორთქლმავლები — 2.800 ცალი 1937 წელს ანუ 337 პროცენტი 1932 წლის მიმართ.

აი, ამხანაგებო, ის შესწორებები, რომლებიც მე მინდოდა მეთხოვა ყრილობისათვის მიეღო: მთელს მრეწველობაში და კერძოდ, მძიმე მრეწველობაში. ვერავინ, ამხანაგებო, ვერც ლენინელ-სტალინელ ბოლშევიკებს შორის, ვერც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გადაღმა, ვერ უსაყვედურებს ჩვენს პარტიას, ჩვენს ქვეყანას იმას, რომ ჩვენ ვიწყებთ ტემპების შემცირებას. ტემპები უდიდესია, ტემპები ლენინურია და მათი შესრულება საჭიროა ლენინურად, სტალინურად (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

ბრძანება

საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოსი

9 თებერვალი 1934 წელი

მოსკოვი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო! ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მე-17 ყრილობის წინაშე მუშურ-გლეხური წითელი არმია დღეს ცხადჰყოფს თავის უსაზღვრო ერთგულებას სოციალიზმის საქმისადმი, თავის საბრძოლო ძლიერებას, თავის მზადყოფნას ყოველ წუთს და ყოველგვარი მტრის წინაშე გამოვიდეს თავისი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილად დასაცავად.

30 წელზე მეტია, რაც დიდი ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკების პარტია სათავეში უდგას რევოლუციურ მუშათა მოძრაობას, მუშათა კლასმა შეამოწმა თავისი პარტია პროლეტარული საქმის ყველა მტრის წინააღმდეგ მრავალი წლის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელები იცნობენ ჩვენს კომუნისტურ პარტიას როგორც უშიშარი პროლეტარული რევოლუციონერების პარტიას, როგორც ისეთ პარტიას, რომელმაც იცის სად წაიყვანოს საქმე და რომელსაც შესწევს სიძნელეთა გადალახვის უნარი. ლენინური პარტიის საბრძოლო დროშები ძლევამოსილად ფრიალებდენ ოქტომბრის ბარიკადებზე და სამოქალაქო ომის ველებზე. ამ დროშებით, ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის — სტალინის ხელმძღვანელობით მიდიოდენ მშრომელები ძლევამოსილ სოციალისტურ შეტევაზე და იმარჯვებდენ. კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობა შევა კომუნიზმისათვის მსოფლიო ბრძოლის ისტორიაში როგორც მონოლიტური ბოლშევიკური მთლიანობის ყრილობა, როგორც უდიდეს სოციალისტურ გამარჯვებათა ყრილობა. დიადი სამუშაოების, ხმაურსა და ფუხილში, განთავისუფლებული შრომის გმირულ დაძაბვაში, გაფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში აშენდა სოციალიზმის საძირკველი ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. მთელი მსოფლიოს წინაშე გაშალა მეორე ხუთწლედის საბრძოლო დროშა — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების უდიდესი პროგრამა. ჩვენი პარტია დაარსა ლენინმა, როგორც შეიარაღებული აჯანყების პარტია, როგორც ბრძოლებისა და გამარჯვებათა პარტია, როგორც კლასობრივი ომის პარტია. ლენინი მუდამ ასწავლიდა მუშათა კლასს, რომ კლასობრივი ბრძოლის დიდი საკითხები საბოლოო ჯამში სწყდება მხოლოდ იარაღის ძალით. ლენინის პარტია მისი არსებობის პირველსავე დღეებიდან ამზადებდა პროლეტარიატს შეიარაღებული ბრძოლისათვის, აშენებდა მის პირველ საბრძოლო რაზმებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას. „გაძლიერებული სამხედრო მზადება სერიოზული ომისათვის — გვასწავლიდა ლენინი, — მოითხოვს არა აღგზნებას, არა ყვირილს, არა საბრძოლო ლოზუნგს, არამედ ხანგრძლივ დაძაბულ, უდრეკად შეუპოვარ და დისციპლინირებულ მუშაობას მასობრივი მასშტაბით.

1905 წლის ბარიკადებზე, პარტიზანულ საბრძოლო მოქმედებაში, მეფის ჯარების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში იწრთობოდენ და იზრდებოდენ ჩვენი მებრძოლი ბოლშევიკური კადრები. ლენინური პარტიის მრავალი წლის მუშაობამ მუშათა კლასის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის საქმეში მოამზადა და უზრუნველყო პროლეტარიატის დიადი გამარჯვება 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. მებრძოლი ბოლშევიკური რაზმების წითელი დროშა, რუსეთის რევოლუციის ბრძოლებსა და დამარცხებებში გამოვლილი, ოქტომბრის უკვდავი სახელით დაგვირგვინებული, ძლევამოსილად გაიშალა რევოლუციის უდიდესი გენიოსის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა ბელადის — ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შექმნილ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რეგულიარულ პოლკებზე.

სამოქალაქო ომის მრავალრიცხოვან ფრონტებზე კლასობრივ ბრძოლებში, როცა იარაღით სწყდებოდა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის ბედი, სახელოვანი ბოლშევიკური პარტია გენიალური ლენინის მეთაურობით აშენებდა, ზრდიდა, ამჭიდროებდა და ბრძოლაში მიუძღოდა მსოფლიოში პირველ წითელ არმიას, გამარჯვებული პროლეტარიატის არმიას. ასობით და ათასობით ემატებოდენ ბოლშევიკები წითელი არმიის რიგებს, მამაცურად იბრძოდენ პირველ რიგებში, ამხნევებდენ მათ, აიარაღებდენ კომუნიზმის იდეებით, აწყობდენ არმიაში რკინისებური დისციპლინის და ბოლშევიკური შეუპოვრობის და ორგანიზებულობის მტკიცე სულს.

წითელი არმიის მთელი ისტორია მისი წარმოშობის პირველივე დღეებიდან, განუყრელად დაკავშირებულია უდიდესი რევოლუციური სტრატეგის, ორგანიზატორის, ფოლადისებური ნებისყოფის მქონე ადამიანის სახელთან, ჩვენი პარტიის საყვარელ ბელადის ამხ. სტალინის სახელთან. იგი იყო ყველა ფრონტზე, სადაც კი რევოლუციას საფრთხე მოელოდა. ყველგან, სადაც საჭირო იყო ურყევი ნებისყოფა, რევოლუციური სიმამაცე და რკინისებური ლენინური სიმტკიცე, სადაც საჭირო იყო დაუყოვნებლივი და გადამწყვეტი ზომების მიღება, პარტია გზავნიდა ამხ. სტალინს. მისი პირით ათი წლის წინათ პარტიამ ლენინის კუბოსთან დასდო დიადი ფიცი — განამტკიცოს პროლეტარული დიქტატურის უძლეველი დასაყრდენი — წითელი არმია. ეს ფიცი სახელოვნად შესრულდა. მთელი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი და განსაკუთრებით პირადად ამხ. სტალინი დღითი-დღე ზრდიდენ და ხვეწდენ წითელი არმიის ძლიერებას. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან ერთად მიმდინარეობდა ჩვენი შეიარაღებული ძალების ტექნიკური რეკონსტრუქცია.

მთელს ქვეყანასთან ერთად თავიდან-ბოლომდე შეიცვალა წითელი არმია, ამჟამად შეიარაღებული პირველხარისხოვანი ტექნიკით. პირველმა ბოლშევიკურმა ხუთწლედმა, აღფრთოვანებულმა სტალინის გენიით, ჩვენი ქვეყანა გადააქცია მტრების თავდასხმისათვის მიუწვდომელ ციხე-სიმაგრედ, სოციალიზმის ურყევ ხელ კლდედ.

ახალი საბრძოლო ტექნიკის მძლავრი იარაღი იმყოფება წითელი არმიის მებრძოლთა [illegible] ხელში, იმ მებრძოლების, რომლებიც თავგამოდებით ემსახურებიან სოციალიზმის დიად საქმეს. ბოლშევიკურ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების გუშინდელი და ხვალინდელი დამკვრელები დღეს დგანან წითელი არმიის რიგებში, ენტუზიაზმით ეუფლებიან საბრძოლო იარაღს. წითელი არმიის თვითეული მებრძოლის, მეთაურის და პოლიტმუშაკის გული მხურვალედ სცემს ტექნიკის ათვისების პათოსით, რომლითაც ცხოვრობს მთელი ქვეყანა, რომელიც ბადებს შრომითი გმირობის გაუგონარ სასწაულებს. „პირველად ისტორიაში, — ლაპარაკობდა ლენინი სამოქალაქო ომის დღეებში, — არმია შენდება არმიისა და საბჭოების სიახლოვეზე, განუყრელ სიახლოვეზე, შეიძლება ითქვას, განუყრელ მთლიანობაზე. საბჭოები აერთიანებენ ყველა მშრომელსა და ექსპლოატირებულს და არმია შენდება სოციალისტური დაცვისა და შენების საფუძველზე“. ამ ურყევ საფუძველზე აგებულია და გაიზარდა წითელი არმია. განუყრელია მისი კავშირი მშრომელ მასებთან და ბოლშევიკურ პარტიასთან. პარტიის ხელმძღვანელობით წითელი არმია, როგორც პირველხარისხოვანი ბოლშევიკური სკოლა, ზრდის თავის რიგებში არა მარტო მტკიცე და გამოცდილ მებრძოლებს, არამედ სოციალიზმის შეგნებულ მოწინავე მშენებლებს. წითელი არმია, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, აღფრთოვანებით შეხვდა ამხ. სტალინის ისტორიულ მოხსენებას საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე. ჩვენი საყვარელი ბელადის და მასწავლებლის მითითებებიდან წითელი არმია კრეფს ახალ ძალებს შემდგომი ბრძოლისათვის საბრძოლო ტექნიკის, [illegible] და კულტურის დასაუფლებლად, [illegible] შემდგომი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების გასაუმჯობესებლად.

ამხ. სტალინის სიტყვები: „ჩვენ მშვიდობიანობის მომხრენი ვართ და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს, მაგრამ ჩვენ მუქარისა არ გვეშინია და მზად ვართ ომის გამჩაღებელთა შემოტევას შეტევით ვუპასუხოთ“, — გამოხატავს ჩვენს შეუდრეკელ ნებისყოფას მშვიდობიანობისადმი და ჩვენს მუდმივ მზადყოფნას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

წითელი არმია — ერთადერთი არმიაა მსოფლიოში, რომლის დანიშნულებაცაა არა დაპყრობები, არა სხვისი მიწების ხელში ჩაგდება. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, მთელ ჩვენს პარტიასთან ერთად წითელი არმია ესწრაფვის მშვიდობიანობას მაგრამ ჩვენი მახვილი გალესილია და მზად არის განგმიროს ყველა, ვინც კი დაარღვევს სოციალისტურ ქვეყნის მშვიდობიან შრომას. ვინც კი გაბედავს ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, იგი საბოლოოდ იქნება განადგურებული. ჩვენ შევასრულებთ ამ ამოცანას ჩვენი საბრძოლო ბოლშევიკური დროშის ქვეშ — კლასობრივი ომისა და ყველა მშრომელთა ძმობის დროშის ქვეშ.

წითელი არმიის მებრძოლებო, თქვენი სახელით მივესალმები სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის — ბოლშევიკების მე-17 ყრილობას. თქვენი სახელით მივმართავ ჩვენს პარტიას და მის დიდ ბელადს, წითელი არმიის საყვარელ მასწავლებელს და მეგობარს ამხ. სტალინს საბრძოლო წითელარმიული „ვაშათი“.

ს.ს.რ.კ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე:
ვოროშილოვი.

სტრატოსტატ „ოსოავიახიმ—1“-ის დაღუპულ ეკიპაჟის ნათესავების წერილი ამხ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

უდიდესი მწუხარება განვიცადეთ ჩვენ ამ დღეებში. ჩვენ დავკარგეთ ყველაზე უფრო ახლობელი, ყველაზე უფრო ძვირფასი ადამიანები, პავლე ფედოსეენკო, ანდრი. ვასენკო, ილიუშა უსისკინი — სტრატოსფეროს ახალგაზრდა, მხნე, მამაცი დამპყრობლები — ესენი ხომ ჩვენი შვილები, ქმრები, ძმები და მამებია.

და ჩვენთვის ამ მძიმე წუთებში თქვენ მოყვარული და მოალერსე მამასავით გამოგვიწოდეთ ხელი. ჩვენ ვიგრძენით, თუ როგორი დიდი გული სცემს თქვენს მკერდში, ჩვენ ვიგრძენით, თუ რა მიუწვდომელ სიმაღლეს აღწევს თქვენი სიყვარული და ზრუნვა ადამიანზე, კომუნიზმის მშენებელთა ჩვენი იმ დიადი პროლეტარული არმიის თვითეულ მებრძოლზე, რომლის ბელადი და მასწავლებელიც თქვენ ხართ.

ჩვენ ღრმად განვიცდით იმ მზრუნველობას, რომლითაც თქვენ მოეპყარით ჩვენს ძვირფას და ახლობელ გმირებს. ჩვენს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ დავივიწყებთ ჩვენ, თუ როგორ მამობრივი თბილი გრძნობით და მწუხარებით მიგქონდათ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ურნა მათი ფერფლით კრემლის კედლისაკენ. დაუვიწყარია თქვენი ყურადღება ჩვენდამი, დაღუპულთა ნათესავებისადმი, რამაც ბევრად შეგვიმსუბუქა მწუხარება.

ჩვენ, დაღუპულ ფედოსეენკოს, ვასენკოს და უსისკინის მამებს, დედებს, ძმებს, დებს, ცოლებს და შვილებს არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ისინი მხოლოდ-მხოლოდ ჩვენს საკუთრებად არა, ისინი ყველაზე მეტად, და უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნიან პარტიას, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის მუშათა კლასს. ისინი მუშაობდენ პარტიისა და მუშათა კლასისათვის და დაიღუპნენ კომუნიზმის საქმისათვის. ლენინურმა პარტიამ და თქვენ — მისმა უდიდესმა ხელმძღვანელმა — შეუქმენით ჩვენს შვილებს, ქმრებს და ძმებს დიდი ბედნიერება ემუშავნათ და აღმოეჩინათ ახალი სამყარო. ლენინურმა პარტიამ და თქვენ — მისმა საყვარელმა ბელადმა—ეს ბედნიერება მიანიჭეთ განთავისუფლებულ პროლეტართა მილიონებს — ღარიბთა შვილებს, რომლებიც ახლა სძლევენ ცოდნის და მეცნიერების მწვერვალებს. თქვენი დახმარებით და ყოველდღიური ყურადღებით ჩვენმა მძლავრმა პროლეტარულმა თავდაცვის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — თავდაცვაავიაქიმმა — შექმნა ახალგაზრდა გამომგონებლებისა და მეცნიერ მკვლევარებისადმი მეგობრობისა და ყურადღების ისეთი შესანიშნავი ატმოსფერა, რომელშიაც ბედნიერება ჰქონდათ ემუშავნათ ფედოსეენკოს, ვასენკოს და უსისკინს. თქვენ პირველად და თქვენთან ერთად ლენინის პარტიის მთელს დიად ყრილობას უგზავნიდენ ჩვენი ძვირფასი მამაცები მიუწვდომელი სიმაღლიდან თავის ანგარიშებს. და თქვენ საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებთან ერთად დაინახეთ მთელს მსოფლიოს, მთელს მუშათა კლასს, თუ როგორ სცემს პატივს ძლევამოსილი პროლეტარიატი თავისი მებრძოლების ხსოვნას.

უღრმესი მწუხარების დაუვიწყარი დღეები გადაიქცნენ ჩვენთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მძლავრ და გმირულ მოწოდებად ახალი ბრძოლისაკენ, პროლეტარული მეცნიერების, კულტურის და ტექნიკის ახალი გამარჯვებისაკენ. ჩვენ ვიცით, ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარული პარტია, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობს, შეავსებს ჩვენს საერთო დანაკლისს ასობით და ათასობით პატიოსანი, მამაცი და სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვროდ თავდადებული მებრძოლებით. ჩვენ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მთელს ჩვენ ძალღონეს მოვახმართ იმ დიადი საქმის გაგრძელებას, რომლისთვისაც იბრძოდენ ჩვენი დაღუპული თავდაცვაავიაქიმელები.

ლ. ბ. ფედოსეენკო, დ. ა. უსისკინი, ლ. ი. უსისკინა, ს. დ. უსისკინა, ე. გ. ფედოსეენკო, მ. ფ. ფედოსეენკო-სტრუნსკი, ს. სტრუნსკი, ე. ვასენკო, ვ. ვასენკო (ვალოდია).

4 თებერვალი 1934 წელი.
ქ. მოსკოვი.

დ. ი. მენდელეევი

დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების გამო

(1834-1934)



მოსკოვი, 8 თებერვალი. 8 თებერვალს შესრულდა 100 წელი უდიდეს მსოფლიო მეცნიერის — შესანიშნავი ქიმიკოსის დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევის დაბადების დღიდან.

თავისი განსაკუთრებული მკაფიო შემოქმედებითი მოღვაწეობა მენდელეევმა მოანდომა ქიმიის, ფიზიკის, მეტეოროლოგიის შესწავლას და აგრეთვე ჩამორჩენილი მეფის რუსეთის სამრეწველო აღორძინების საკითხებს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტში მენდელეევმა დაწერა თავისი პირველი ნაშრომი „ფინეთის ორთიტის და პიროქსენების ანალიზის შესახებ“. ჯერ კიდევ ამ მუშაობამ მომავალ დიდ მეცნიერს სახელი მოუხვეჭა თვით ინსტიტუტის კედლებში. მის მიერ შესანიშნავად ჩაბარებულმა საგამოშვებო გამოცდებმა წინასწარ განსაზღვრეს შესანიშნავი რუსი მეცნიერის — ქიმიკოსის გზა.

დაბადებიდან 33 წლისამ დიმიტრი ივანეს-ძემ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაიბარა არაორგანიული და საერთო ქიმიის კათედრა. მის მიმზიდველ ლექციებზე, რომელსაც ახასიათებდა განსაკუთრებული სიღრმე, იკრიბებოდა უნივერსიტეტის მთელი სტუდენტობა. დიმიტრი ივანეს-ძეს ირგვლივ უნივერსიტეტში დაიწყო იმ დროის მთელი გამოჩენილი მეცნიერების თავის მოყრა. მისი ინიციატივით 1868 წელს დაარსდა რუსეთის პირველი ფიზიკურ-ქიმიური საზოგადოება. მსოფლიო სახელი და აღიარება გენიალურმა მეცნიერმა და მოაზროვნემ მიიღო მას შემდეგ, რაც მან 1870 წელს აღმოაჩინა თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი ძირითადი კანონი, — ქიმიური ელემენტების პერიოდული კანონი. ამ კანონის საფუძველზე მენდელეევმა შეასწორა ზოგიერთი ელემენტის ატომური წონა. შესანიშნავი დადასტურება ჰპოვა მისმა წინასწარმეტყველებამ მაშინ კიდევ აღმოუჩენელ ისეთ ელემენტების არსებობის შესახებ, როგორიც არის — გალია, სკანდია და გერმანია რომლებიც აღმოჩენილ იქნა 1875 — 86 წ. წ. 60 წელზე მეტია, რაც კაცობრიობის მეცნიერული აზრი მიჯაჭულია მის მიერ აღმოჩენილ პერიოდულ კანონზე. 1869 — 70 წლებში ამ კანონის აღმოჩენის წლებში — ცნობილი იყო 60 ტიპიური ელემენტი. მენდელეევის სიკვდილის წელში — 72 ამჟამად კი — 90.

მარქსიზმის მამამთავარი ფრიდრიხ ენგელსი მენდელეევის პერიოდულ კანონს შემდეგ სტრიქონებს უძღვნის: — „ბოლოს ჰეგელის კანონს ძალა აქვს არა მარტო რთული სხეულებისათვის, არამედ თვით ქიმიურ ელემენტებისათვისაც“...

მენდელეევმა დაგვანახვა, რომ მონათესავე ელემენტების რიგებში, რომლებიც განაწილებული არიან ატომური წონის მიხედვით, ადგილი აქვს სხვადასხვა ხარვეზებს, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ აქ აღმოჩენილ უნდა იქნენ კიდევ ახალი ელემენტები. მენდელეევის წინასწარმეტყველება გამართლდა. მენდელეევს რომელმაც გამოიყენა შეუგნებლად ჰეგელის კანონი რაოდენობის ხარისხში გადასვლის შესახებ, მიუძღვის მეცნიერული დამსახურება, რომელიც თამამად შეიძლება გვერდში დავუყენოთ ლევერიეს აღმოჩენას, რომელმაც გამოიანგარიშა „უცნობი პლანეტის ნეპტუნის“ ორბიტი.

1890 წ. მარტში, როდესაც გაფთრებული მღელვარება იყო სტუდენტებს შორის, დიმიტრი ივანეს-ძე, დაეყრდნო რა თავის ავტორიტეტს, დათანხმდა შეესრულებია სტუდენტების თხოვნა და გადაეცა მათი პეტიცია სახალხო განათლების მინისტრ დელიანოვისათვის. პეტიცია მინისტრმა უკანვე დააბრუნა, ხოლო მენდელეევს მიუთითა, რომ მას „უფლება არ ჰქონდა მიეღო ასეთი ქაღალდები“. დიმიტრი ივანეს-ძე იძულებული გახდა გადამდგარიყო და გამოთხოვებოდა უნივერსიტეტს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლახვარი, რომელიც ცარიზმმა თავს დაატეხა უდიდეს რუს მეცნიერს.

ყოველმხრივ განათლებულმა დიმიტრი ივანეს-ძემ დიდი ინტერესი გამოიჩინა აგრეთვე მეტეოროლოგიისადმი, ძველი რუსეთის ეკონომიკისა და ხელოვნებისადმი. 1887 წელს მზის დაბნელების დროს მენდელეევი მარტო ფრინდა აეროსტატით მზის სხივებზე დაკვირვების მოსახდენად და ატმოსფერული წნევის გასაზომად. მენდელეევმა ბევრი დრო და ძალა შესწირა რუსეთის მრეწველობის განვითარებას. თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში (1906 წ.) მენდელეევმა თავის ნაშრომში „რუსეთის შეცნობა“ რუსეთის აღწერის შედეგების საფუძველზე სცადა ციფრებში მოეცა სახალხო მეურნეობის ანალიზი და ეპოვნა ქვეყნის ნამდვილი ეკონომიური ცენტრები.

მენდელეევის სიკვდილის შემდეგ (1907 წლის 20 იანვარი) დარჩა 186 მეცნიერული ნაშრომი: ფიზიკასა და გეოფიზიკაში — 55, ფიზიკურ ქიმიაში და ქიმიაში — 60, ტექნიკასა და მრეწველობაში — 47, ეკონომიკასა, საზოგადოებრივ საკითხებში და სხვ. 24 მის კალამს ეკუთვნის უკვდავი კლასიკური ნაწარმოები „ქიმიის საფუძვლები“, რომელშიაც გადაშლილია ფიზიკური ქიმიის ფილოსოფია.

**

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობა აღნიშნავს ასი წლისთავს მსოფლიო მეცნიერის — დ. ი. მენდელეევის დაბადების დღიდან. მის ხსოვნას ეძღვნება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიის პირველი სხდომა, რომელიც იხსნება დღეს. 1934 წლის შემოდგომაზე ლენინგრადში მოწვეულია ქიმიკოსთა მენდელეევის სახელობის მსოფლიო კონგრესი (ადს).

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

კომპარტიამ მოაწყო მუშათა გრანდიოზული დემონსტრაციები ფაშისტების წინაალმდეგ

პარიზი, 8 თებერვალი. გუშინ კომპარტიამ და უნიტარულმა პროფკავშირებმა მოუწოდეს მშრომელებს გამოსულიყვნენ ქუჩებში საპროტესტო დემონსტრაციებზე გათავხედებული ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. პარიზის პროლეტარიატმა კომპარტიის მოწოდებას უპასუხა ახალი მასობრივი გამოსვლებით ქუჩებში. **დემონსტრანტები შეიჭრნენ ქალაქის ცენტრში და დაიკავეს მთელი რიგი მოედნები და ბულვარები.** ფაშისტურმა ორგანიზაციებმა თავის მხრივ კვლავ გამოიწვიეს ქუჩაში დემონსტრანტები. მთელს ქალაქს გაძლიერებით იცავენ ჯარები, ცხენოსანი და ქვეითი პოლიცია და ჟანდარმერია. მაგრამ პოლიცია და ჟანდარმერია მთელი ძალით თავს დაესხა მუშათა დემონსტრაციებს და არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ დემონსტრანტების გასაფანტავად. პოლიცია ესროდა **დემონსტრანტებს და სთელავდა მათ ცხენებით.** მუშა დემონსტრანტები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, მათ მოაწყეს ბარიკადები და იგერიებდნენ პოლიციის შემოტევას. პოლიციასთან შეტაკება, რაც დაიწყო საღამოს და შუაღამეზე დამთავრდა, **გადაიქცა ნამდვილ ომად.**

წინასწარი ოფიციალური ცნობებით, გუშინ საღამოს მოკლულთა რიცხვი **აღწევდა 10 კაცს. მძიმედ დაჭრა და საავადმყოფოში წაიყვანეს 182 კაცი.** დაჭრილთა საერთო რიცხვი ახლობით განისაზღვრება. პოლიციამ დააპატიმრა მრავალი დემონსტრანტი, უმთავრესად მუშები.

ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, დაპატიმრებულია 10 კომუნისტი.

დიდ დემონსტრაციებს, რომლებიც სისხლისმღვრელ შეტაკებით დამთავრდა, ადგილი ჰქონდა პროვინციებშიც, კერძოდ, ბორდოსა და ლიონში. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, ლიონში, ოფიციალური ცნობებით, დაჭრა 80 კაცი, დაპატიმრებულია 30 კაცი.

სოციალ - ფაშისტური პარტიის და შრომის რეფორმისტული გენერალური კონფედერაციის ხელმძღვანელობამ მშრომელი მასების და მუშათა კლასის აღშფოთების ზეგავლენით გადაწყვიტა გამოაცხადოს 12 თებერვალი „ფაშიზმის მუქარის წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვისა და საზოგადოებრივ თავისუფლებათა დაცვის საყოველთაო დღედ".

ამასთან ერთად სოციალ - ფაშისტური პარტიის და რეფორმისტული პროფკავშირების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მხარს უჭერს „დროებითი ზავის" დადებას ყველა პროლეტარულ ორგანიზაციას შორის და სოციალისტური და კომუნისტური პარტიების, უნიტარული და რევოლუციური პროფკავშირების „მტერ ლოიალურ შეთანხმებას".

კომუნისტური პარტია ამჟღავნებს სოციალ-ფაშისტების ამ დემაგოგიურ მანევრს, რომლებსაც ეშინიათ დაკარგონ თავისი გავლენა მასებში და მოაგონებს, რომ სოციალისტური პარტიის და რეფორმისტული პროფკავშირების ხელმძღვანელობა უარყოფდა კომპარტიის მიერ არაერთხელ წამოყენებულ წინადადებებს მთლიანი საბრძოლო პროლეტარული ფრონტის შექმნის შესახებ. კომპარტია მოუწოდებს პროლეტარიატს შექმნან საწარმოებში მთლიანი საბრძოლო პროლეტარული ფრონტი რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოფიციალურად უარყოფენ გუშინდელ ცნობას იმის შესახებ, რომ დაპატიმრებულია ფაშისტურ გაზეთ „აქსიონ ფრანსეზის" რედაქტორი მორასი, რომელსაც წაუყენეს ბრალდება დალადიეს და ფროს მკვლელობისაკენ წაქეზებაში. როგორც იუწყებიან, მორასი თავისუფალია და მას დაკითხავს სასამართლოს გამომძიებელი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ (ადს).

ფაშისტები მკვლელობისაკენ მოუწოდებენ

პარიზი, 7 თებერვალი. პრესის ცნობით, დალადიემ თავისი გადადგომა დაასაბუთა „სურვილით თავიდან იქნას აცილებული შემდგომი სისხლისღვრა".

დააპატიმრეს ფაშისტური „აქსიონ ფრანსეზის" რედაქტორი მორასი. მორასის წინააღმდეგ აღძრულია საქმე მკვლელობისადმი წაქეზების ბრალდების შესახებ. მორასი მოუწოდებდა გაზეთში მთავრობის წევრთა მკვლელობისაკენ (ადს).

ამხ. ტორესის, ტარდიეს და ბლიუმის გამოსვლა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 7 თებერვალი. იუწყებიან, რომ ნდობის შესახებ საკითხისათვის ხელმეორედ კენჭის ყრის და დალადიეს მიერ ყველა შეკითხვების განხილვის გადადების წინადადების შეტანის შემდეგ, გამოვიდა ტარდიე, მაგრამ პალატა არ აძლევდა მას ლაპარაკის საშუალებას. კომუნისტი დეპუტატები უყვიროდნენ: „პროვოკატორი", „ავანტიურისტი" და და წყის „ინტერნაციონალის" სიმღერა. მემარჯვენეებმა უპასუხეს მარსელიოზით. წარმოუდგენელი ხმაურობის გამო, სხდომა შეწყვეტილ იქნა. სხდომის განახლების შემდეგ ტარდიე კვლავ გამოვიდა. მან ბრალი დასდო დალადიეს ინტერპელიაციის თავისუფლების დარღვევაში და დიქტატურულ მისწრაფებებში.

კომუნისტი დეპუტატი **ტორეზი** გამოვიდა ტარდიეს წინააღმდეგ, მოაგონა მისი ოინები მორგალიოვის საქმესთან დაკავშირებით და ბრალი დასდო მას პრეზიდენტ დუმერის მკვლელობის მონაწილეობაში. ამასთან ერთად ტორეზმა განაცხადა, რომ კომფრაქცია უნდობლობას უცხადებს დალადიეს და აღნიშნა, რომ „რესპუბლიკური წყობილების დაცვის საბაბით ის ამზადებს დიქტატურის მთავრობას მუშათა კლასის წინააღმდეგ".

დუმერგი ადგენს ახალ კაბინეტს

პარიზი, 7 თებერვალი. დღეს საღამოთი გამოირკვა, რომ ყოფილი პრეზიდენტი დუმერგი დათანხმდა იკისროს ახალი კაბინეტის შედგენა (ადს).

დუმერგის მიერ ახალი კაბინეტის შექმნას არ შეხვდება განსაკუთრებული სიძნელეები

პარიზი, 8 თებერვალი. პრესის გადმოცემით და პოლიტიკური წრეების განცხადებით, დუმერგის მიერ ახალი კაბინეტის შექმნა არ წააწყდება განსაკუთრებულ სიძნელეებს. თუმცა დუმერგმა იმ დროს, როცა იგი თანხმდებოდა კაბინეტის შედგენაზე, წამოაყენა მთელი რიგი პირობები, კერძოდ, მოითხოვა პალატის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება, მაგრამ მოვლენათა განვითარება მოწმობს, რომ საეჭვოა საჭირო იქნეს ასეთი ღონისძიებანი.

საპარლამენტო ჯგუფების და მთელი რიგი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების თათბირები მოწმობენ, რომ მემარჯვენე და „მემარცხენე" წრეები, მათ შორის რადიკალ - სოციალისტებიც, მზად არიან მხარი დაუჭირონ ნაციონალური მთლიანობის მთავრობის შექმნას.

ბლიუმის ფრაქცია, რასაკვირველია, ხელს არ შეუშლის „ნაციონალური მთლიანობის" მთავრობის შექმნას და დაკმაყოფილდება „მისი უდიდებულესობის ოპოზიციის" „საპატიო" როლით.

ყოფილ პრემიერთა თათბირმა დაადგინა მხარი დაუჭიროს დუმერგს.

მემარჯვენე და მემარცხენე პრესა ესალმება დუმერგის კანდიდატურას, როგორც ერთადერთ ფიგურას, რომელსაც შეუძლია შეარიგოს ყველა მტრულად განწყობილი ჯგუფები უკიდურეს მემარჯვენეებიდან ნეოსოციალისტებამდე (ადს).

დალადიეს დეკლარაცია

პარიზი, 6 თებერვალი. პალატაში გამოქვეყნებულ მთავრობის დეკლარაციაში დალადიემ განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები სტავისკის საქმის გამორკვევისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. ის არწმუნებდა დეპუტატებს ხელი აელოთ სტავისკის საქმის პოლიტიკური ანგარიშების გასასწორებლად გამოყენებისაგან და მოუწოდებდა დაერაზმათ თავიანთი ძალღონე ეკონომიურ სიძნელეთა დაძლევისათვის, რასაც ქვეყანა განიცდის. გადავიდა რა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, დალადიემ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთელი პოლიტიკა შეიძლება დახასიათებული იქნას გამოთქმით: საერთაშორისო თანამშრომლობა და ნაციონალური თავდაცვა. (ადს).

კამათი განიარაღების შესახებ თემთა პალატაში

ლონდონი, 7 თებერვალი. თემთა პალატაში გაიმართა კამათი განიარაღების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი საიმონი. მოხსენების მთავარი დებულება ეს იყო — საფრანგეთისა და გერმანიის თვალსაზრისთა შერიგება განიარაღების საკითხში. ამას ესაჭიროება დახმარება გარედან. ამიტომ ინგლისის მთავრობა გამოვიდა თავისი მემორანდუმით, ამ მემორანდუმმა საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის მემორანდუმებთან ერთად უნდა შექმნას საფუძველი შემდგომი დისკუსიისათვის. ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ უთანხმოებას. შეუძლებელი და არასასურველია წინააღუდგეს გერმანიის მოთხოვნას მისთვის შეიარაღებაში თანასწორი უფლების მინიჭების შესახებ. ეს აზრი შეტანილი უნდა იქნეს ახალ კონვენციაში. მაგრამ ასევე ამ პრობლემის გადაჭრისათვის არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა უარს იტყვის ყველა სახის შეიარაღებაზე, რაც აკრძალულია გერმანიისათვის ვერსალის ხელშეკრულებით.

თუ უახლოეს დროში არ იქნება მიღწეული შეთანხმება — განაცხადა საიმონმა — და ინგლისს მოუხდება ცხოვრება განუსაზღვრელ შეიარაღებათა პირობებში, ის იძულებული იქნება გადასინჯოს საკითხი თავისი საკუთარი შეიარაღების შესახებ. ბრიტანეთის მემორანდუმი შედგენილია რეალიზმის საფუძველზე და მიზნად ისახავს შექმნას საფუძველი შეთანხმებისათვის.

უშიშროების საკითხის შესახებ საიმონმა განაცხადა, რომ ინგლისი თავის თავზე არ იღებს ახალ ვალდებულებებს რაიმე რეპრესიული ზომების გატარებისათვის, რამდენადაც არ იცის მოსალოდნელ კონფლიქტთა პირობები, მაგრამ გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზე დამოკიდებულია, იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად შეასრულოს მის მიერ უკვე დაკისრებული ვალდებულებანი. შემდეგ საიმონმა დიდი ქებით მოიხსენია გერმანია - პოლონეთის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და დასასრულ განაცხადა, რომ იდენი (ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი) პირველი შესაძლებლობისთანავე გაემგზავრება პარიზში, რომში და ბერლინში, რათა გააცნოს ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისი და გაეცნოს ამ მთავრობათა შეხედულებებს ბრიტანეთის მემორანდუმზე.

ლონდონი, 8 თებერვალი. ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოვიდნენ თემთა პალატაში საიმონის სიტყვის შემდეგ, გააკრიტიკეს ბრიტანეთის მემორანდუმი განიარაღების შესახებ. ლეიბორისტული ფრაქციის ბელადის მოადგილემ აღნიშნა, რომ მემორანდუმის თანახმად, არავითარი ნაბიჯები ნამდვილი განიარაღების დარგში არ იქნება გადადგმული 10 წლის განმავლობაში. მან მიუთითა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობაზე და ხაზი გაუსვა, რომ იაპონიის მოქმედებამ გავლენა მოახდინა მთელ დანარჩენ მსოფლიოზე. ლეიბორისტი კრიპსიც შეჩერდა იაპონიის, როგორც განიარაღებისათვის ხელისშემშლელის, როლზე.

ჩინეთს მიღებული ჰქონდა ქაღალდის გარანტიები მთელი მსოფლიოსაგან და დარწმუნებული იყო, რომ მას აქვს თავდაცვის უფლება. მაგრამ არაფერი არ იქნა გაკეთებული და იაპონიას მიეცა მოქმედების თავისუფლება. ასეთი გამოცდილების შემდეგ ხალხები უსათუოდ დარწმუნდებიან, რომ ქაღალდის გარანტიები არაფრად არ ღირს.

ლიბერალური ოპოზიციის სახელით სამუელმა მწუხარება გამოსთქვა, რომ შექმნილ პირობებში შეუძლებელია წამოყენებულ იქნას უკეთესი წინადადებები, ვინემ ბრიტანეთის მემორანდუმი შეიცავს. მაგრამ უმჯობესია ვარჩიოთ კონვენციის დადება ამ მემორანდუმის საფუძველზე, ვიდრე საერთოდ კონვენციის დაუდებლობა.

ოსტინ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის არასოდეს არ სცნობდა გერმანიის უფლებას შეიარაღების თანასწორუფლებიანობაზე და გამოსთქვა სურვილი, რათა საიმონმა დააზუსტოს თავისი განცხადება მითითებით, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ თანხმდება თანასწორუფლებიანობის მინიჭებას.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებლად მიაჩნია დემილიტარიზებული ზონის შენარჩუნება რეინზე, და რომ ბრიტანეთის მთავრობამ მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა განაცხადოს, რომ მას განზრახული აქვს დაიცვას ეს ზონა მის ახლანდელ მდგომარეობაში.

საიმონმა, ჩემბერლენისადმი მიმართულ პასუხში აღნიშნა, რომ არც ბრიტანეთის მემორანდუმი, არც ბრიტანეთის მთავრობის განზრახვა არ ითვალისწინებს არავითარ ცვლილებებს დემილიტარიზებული ზონის მიმართ.

„თუ, — განაცხადა შემდეგ საიმონმა — მე ვიხმარე სიტყვა თანასწორობა შეიარაღებაში, ეს შეცდომით მოხდა, ვინაიდან მე ნამდვილად მხედველობაში მქონდა უფლებათა თანასწორობა შეიარაღებათა დარგში.

რაც შეეხება საჰაერო შეიარაღებას, მემორანდუმში გათვალისწინებულია, რომ ის წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ თემას, რომელიც უნდა გახდეს სრულიად განსაკუთრებული მოლაპარაკების საგანი. იდენმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ერთა ლიგის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად იძულებული იქნება განიხილოს ავსტრიის მთავრობის მოსალოდნელი საჩივარი.

შეეხო რა ბრიტანეთის მემორანდუმს, იდენმა განაცხადა, რომ თუ წინადადება, რომელიც მასში არის მოცემული, ან რაიმე მასთან დაახლოვებული, რომ არ იქნება მიღებული, არავითარი კონვენცია არ დაიდება და ამიტომ ბრიტანეთის მთავრობა სახელმწიფოებს წინადადებას აძლევს შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ მიიღონ ეს წინადადებები (ადს).

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას

უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ

ვენა, 7 თებერვალი. უნგრეთის ტელეგრაფის სააგენტო აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ რომში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და ამასთან ერთად აქვეყნებს ამ შეთანხმების ოფიციალურ კომენტარიებს. კომენტარიებში აღნიშნულია, რომ ბრესტლიტოვსკში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად უნგრეთმა იცნო საბჭოთა კავშირის მთავრობა იურიდიულად, მაგრამ, მიუხედავად 1924 წელს ბერლინში წარმოებულ მოლაპარაკებისა, დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ იყო დამყარებული. ეს მდგომარეობა უნგრეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით არ იყო გამართლებული, ვინაიდან უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არავითარი საგარეო პოლიტიკური წინააღმდეგობა არ არსებობს.

საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ (ადს).

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

13 თებერვალს მოსკოვში ჩამოვა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი

მოსკოვი, 7 თებერვალი. იმ ლაპარაკის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის დეკემბრის დამლევს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ლიტვინოვსა და პოლონეთის მოსკოველ ელჩს ბ-ნ ლუკასევიჩს შორის, ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მოხარული იქნებოდა ენახა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ბეკი მოსკოვში როგორც თავისი სტუმარი. ამ ცნობის საპასუხოდ მინისტრმა ბ-ნ ბეკმა თავის მხრივ განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით ღებულობს საბჭოთა მთავრობის მიწვევას.

ამჟამად ბ-ნ ბეკის მოსკოვში ჩამოსვლის ვადად დაწესებულია ამ თვის 13 რიცხვი. ბ-ნ ბეკის ჩამოსვლა მოსკოვში ექნება საპასუხო [illegible] ხასიათი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. ჩიჩერინის წარსულ დარბაზობაზე პოლონეთში (ადს).

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

შეკითხვა საიმონს თემთა პალატაში

ლონდონი, 7 თებერვალი. თემთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრს საიმონს მისცეს შეკითხვა: იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა დასდო კონვენცია მთელ რიგ სახელმწიფოებთან თავდამსხმელი მხარის განსაზღვრის შესახებ და აგრეთვე ამხ. ლიტვინოვის განცხადების გამო, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ხელი მოაწეროს ასეთსავე კონვენციებს ყველა სახელმწიფოსთან, განზრახული აქვს თუ არა მას შეუდგეს მოლაპარაკებას ასეთივე კონვენციის დადების შესახებ? საიმონმა უპასუხა: „ვიღებთ რა მხედველობაში სხვა ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია კელოგის პაქტით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე საბჭოთა მთავრობა და ერთა ლიგის წესდებას, ბრიტანეთის მთავრობა არ თვლის აუცილებლად დაიწყოს ასეთი მოლაპარაკება" (ადს).

ბრძანება

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი

მოსკოვი, 7 თებერვალი 1934 წ.

ქარხნების მიერ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების 1934 წლის პირველი კვარტალის პროგრამის შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ

1. მოიხსნას თანამდებობიდან ქარხანა „[illegible]" დირექტორი ამხ. **რეისტინი** იმისათვის, რომ მან არ შეასრულა ხატრაქტორო სათადარიგო ნაწილების დაკვეთები და შეუწყნარებელი დამოკიდებულება გამოიჩინა ამ უმნიშვნელოვანესი დაკვეთისადმი.
2. გამოეცხადოს საყვედური ქარხანა „კრასნი გვოზდილშჩიკ"-ის დირექტორს ამხ. **ნიკოლაევს** იმისათვის, რომ იგი ცუდად მოემზადა სათადარიგო ნაწილების პროგრამის შესასრულებლად.
3. გამოეცხადოს საყვედური ქარხანა № 7-ის დირექტორს ამხ. **სუხომლინოვს** იმისათვის, რომ მან გააჭიანურა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დაკვეთის მიღება.
4. ვაფრთხილებ ყველა იმ ქარხნის დირექტორებს რომლებიც არღვევენ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დაკვეთებს, რომ პროგრამების შეუსრულებლობა დანიშნულ ვადაში გამოიწვევს მათზე უმკაცრესი სასჯელის დადებას სამუშაოდან მოხსნამდე და სამართალში მიცემამდეც კი.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი: **ს. ორჯონიკიძე.**

განმარტება

„კომუნისტის" 1 თებერვლის ნომერში (№ 27) მოთავსებული სახკომსაბჭოს დადგენილებაში „1934 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" დაშვებულია შემდეგი შეცდომები. ჩამოთვლილი რაიონების სიაში (მუხლი 1).

	დაბეჭდილია:			უნდა იქნეს:		
რაიონები	გაზაფ.	შემოდგ.	თხისა	გაზაფხ.	შემოდ.	თხისა
თელავის რაიონი	650	300	300	650	650	300
ბაშკიჩეთის „	700	550	300	700	650	300
კასპის „	550	520	300	650	520	300
გორის „	550	520	300	650	520	300

ქვანახშირი

6 თებერვალს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 103 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
ხ უ ლ	1.042	1.075	103
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	521	526	101
სტალინის უბანი . .	521	549	105

ტრაქტორების შეკეთება

5 თებერვლისათვის

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობები)

სამ.-სატ. სადგურები	შეკეთების გეგმა	შეკეთებულია	გეგმის შეს. %%-ით
ახალქალაქის (დირექტორი ამხ. ა. მიკაელიანი)	22	22	100
აგარის (დირექ. ამხ. ვ. კოხოძე)	32	13	40,6
გორის (დირექ. ამხ. გ. სიხარულიძე)	28	23	82,1
კასპის (დირექ. ამხ. ვ. ფსიტიძე)	18	7	38,9
ბორჩალოს (დირექ. ამხ. მ. წერეთელი)	52	12	23,3
ყარაია (დირექ. ამხ. შიხლინსკი)	24	13	54,2
საგარეჯოს (დირექ. ამხ. ვ. ჟღენტი)	22	14	63,6
საგარეჯოს (დირექ. ამხ. ვ. ჟღენტი)	22	14	63,6
გურჯაანის (დირექ. ამხ. პ. ჩარგაზია)	26	14	53,8
წნორის (დირექ. ამხ. სტეფანოვი)	53	29	54,7
ლაგოდეხის (დირექ. ამხ. ვ. პივნევი)	30	22	73,3
ყვარელი (დირექ. ამხ. ვ. მგალობლიშვილი)	10	10	100,0
თელავი (დირექ. ამხ. ს. ცუცქირიძე)	16	16	100,0
ზესტაფონი (დირექ. ამხ. მ. კაკაბაძე)	13	11	84,6
ქუთაისი (დირექ. ამხ. ბასილაია)	21	9	42,8
ხონი (დირექ. ამხ. ა. ანდღულაძე)	8	8	100,0
სამტრედია (დირექ. ამხ. კ. შანიძე)	19	10	52,6
აბაშის (დირექ. ამხ. ვ. ცაავა)	33	4	12,0
მარტვილის (დირექ. ამხ. კ. მონიავა)	12	11	91,7
სენაკის (დირექ. ამხ. ვაშაკიძე)	21	13	61,9
ხობის (დირექ. ამხ. ცაავა)	12	6	50,0
ზუგდიდის (დირექ. ამხ. კ. ციმინტია)	22	13	59,1
წალენჯიხის (დირექ. ამხ. გ. კუპავა)	6	5	83,3
ლანჩხუთის (დირექ. ამხ. ნ. ლაღაძე)	25	20	80,0
ოზურგეთი (დირექ. ამხ. მ. ორაგველიძე)	9	9	100,0
ბათუმის (დირექ. ამხ. ვ. ზაპოლსკი)	6	—	—
გალის (დირექ. ამხ. ლ. კორსუა)	22	19	86,4
ოჩამჩირის (დირექ. ამხ. გ. ცვიჟბა)	41	34	82,9

ამგვარად 5 თებერვლისათვის შეკეთებული იყო სულ 367 ტრაქტორი (60,9 პროც.). გეგმით უნდა შეკეთდეს 603 ტრაქტორი.

ტფილისი

ფაბრიკა-ქარხნების დისპეტჩერიზაცია

საქ. საფეიქრო ტრესტის სპეციალისტმა ინჟ. ვალ. ახვლედიანმა დაამუშავა საკითხი ფაბრიკა-ქარხნებში დისპეტჩერიზაციის შემოღების შესახებ. საამქროებში თვითეულ იმ მანქანასთან, რომელიც ელექტროენერგიით მუშაობს, დადგმული უნდა იქნეს სპეციალური სადისპეტჩერო აპარატი, რომელიც მანქანის მუშაობის შეფერხებისა და გაჩერების შესახებ ავტომატიურად გადასცემს ნიშანს ტექნიკურ ხელმძღვანელს. მანქანებთან სადისპეტჩერო აპარატის დადგმით ზედმეტი ხდება ქრონომეტრაჟისტების, აღმრიცხველების და მეტაბელეების ყოლა, რადგან მათ მაგიერობას ეს აპარატი გასწევს. ინჟ. ვ. ახვლედიანმა დაამზადა საკუთარი კონსტრუქციის სადისპეტჩერო აპარატი, რომელიც ცდის სახით დადგმულია ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში 1-ლ საქსოვ მანქანასთან. აპარატი უნაკლოდ მუშაობს და ზუსტად აღრიცხავს მანქანის გაცდენის დროს. ფაბ.-ქარხ. დისპეტჩერიზაციის შემოღებით ადვილდება გაცდენებთან ბრძოლა, მეტად იღვრძობა სამუშაო დღე, და, წინასწარი გამოანგარიშებით, თვითეული მანქანის შრომის ნაყოფიერება იზრდება 15-20 პროცენტით.

საფეიქრო ტრესტის დირექციამ გადაწყვიტა მოიწვიოს სპეციალისტების გაფართოებული თათბირი ინჟ. ვ. ახვლედიანის წინადადებათა განსახილველად. თათბირის მოწვევის დღე გამოცხადებული იქნება.

ზაფხულისათვის ქალაქი უნდა უზრუნველვყოთ ნატახტარის წყალით

ცნობილია, რომ წყალსადენის საქალაქო ქსელი ვერ ღებულობს ნატახტარიდან იმდენ წყალს, რამდენიც საჭიროა ქალაქის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. არსებულ ქსელს დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია მხოლოდ 2.500.000 ვედრო წყლის გატარება, ხოლო ეს ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობას, განსაკუთრებით ზაფხულში.

წყალკანალტრესტმა გადაწყვიტა დროებითი ხასიათის ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით, სანამ მთლიანად დამთავრდებოდეს წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქცია, მოაგვაროს ქსელში ჭარბი რაოდენობის წყლის გაშვება. ამ მიზნით მოსკოვის ქუჩაზე გადაწყვეტილია აგებულ იქნეს წყალსაქაჩი სადგური, რომლის საშუალებითაც გადაქაჩული იქნება ქსელში ნატახტარის წყალი. ამ სადგურის აგებით ქალაქის ის ნაწილი, რომელიც მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, წყალით უზრუნველყოფილი იქნება მთელ დღე-ღამეში. წელს წყალს მიიღებენ იმ ქუჩებშიც, სადაც უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში წყალი არ მიდიოდა.

შუამდგომლობა სანაპირო ქუჩის სამუშაოთა დაფინანსების შესახებ

„კომუნისტში" აღნიშნული იყო, რომ მოსალოდნელი წყალდიდობის გამო საჭიროა დაჩქარებით შეუდგეს სანაპირო ქუჩაზე ახალი დამბის მშენებლობას კარლ მარქსის ხიდისაკენ. ქუჩის წალეკვის თავიდან ასაცილებლად, საჭირო იქნება 1-ლ აპრილამდე აგებულ იქნეს დამბა სიგრძით 360 მეტრი და სიმაღლით 2,5 მეტრი. აღნიშნული სამუშაოს შესრულებას აბრკოლებს მხოლოდ თანხების სიმცირე, რადგან საჭირო მასალებითაც და მუშა-ხელითაც მშენებლობა უზრუნველყოფილია.

ტფილისის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა მთავრობას, რათა თებერვალ-მარტის განმავლობაში ახალი სანაპირო ქუჩის ნებულობისათვის სესხის სახით გადადებულ იქნეს 1.600.000 მანეთი.

სამხრეთ-ოსეთს ექნება საკუთარი თეატრი

ოთხი წლის წინათ ცხინვალში აგებული იქნა კულტურის სახლი, სადაც მთავარ კორპუსში მოქცეულია სათეატრო დარბაზი ექვსასი ადგილით. თეატრი აგებულია იშვიათი არქიტექტურული გემოვნებით.

ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ამ ხნის განმავლობაში იმართებოდა ხანგამოშვებით წარმოდგენები. იდგმებოდა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური პიესები. მიუხედავათ ზოგიერთ საკმაოდ ნიჭიერ ძალების მონაწილეობისა (ბეკოევი, ხუბულტი და სხვ.), თეატრმა ვერ შესძლო ფეხ და ფეხ მიჰყოლოდა ოსეთის მშრომელ ხალხის საბრძოლო ამოცანებს.

მთავარი დაბრკოლება მდგომარეობდა განსაკუთრებით კვალიფიციური კადრების უქონლობაში.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბოლო მოუღოს ამ ჩამორჩენას. განსახკომის მიერ აღძრულია შუამდგომლობა რუსთაველის თეატრის წინაშე, რათა რუსთაველის თეატრის სტუდიაში ჩარიცხულ იქნეს [illegible] სარეჟისორო და სამსახიობო განხრებით, შუამდგომლობა თეატრის მიერ დაკმაყოფილებულია.

მისაღები გამოცდები ჩატარებული იქნება ცხინვალში რუსთაველის თეატრის სპეციალური სარეჟისორო ბრიგადის მიერ, რის შემდეგ 15 კაცი მოვლინებული იქნება ტფილისში. სტუდიელები უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით და გადიდებული სტიპენდიით.

ი. ქანთარია.

რუსთაველის სახ. თეატრი

9 თებერვალს 2 აბონ. 6 წარ.	11 თებერვალს სტუდ. აბ. ა. 5 წ.	12 თებერვალს პრ. აბონ. ბ 5 წ.
დუშმანი	ინტერვენცია	ინტერვენცია

10 თებერვლიდან მე-6 [illegible] იტალიანი უნდა იქნას თეატრის [illegible] „ბორისის" სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 11—2 [illegible] ს.-მდე.

სახ. ოპერა

9 თებერვალს 3 აბონ. 9 წარ.	10 თებერვალს 9 აბონ. 9 წარ.	11 თებერვალს 2 აბონ. 11 წარ.
პიკის ქალი	ქეთო და კოტე	ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

12 თებერვალს დღით ქეთო და კოტე
აბონენტები, რომლებსაც [illegible] ერთი დღით ადრე თავის წარმოდგენამდე [illegible]
წარმოდგენის დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

9 თებერვალს 9 აბონ. 5 წარ.	1[illegible] თებ. [illegible]	1[illegible] თებერვალს [illegible] აბონ. 5 წარ.
ნინოშვილის გურია	ურიელ აკოსტა	კაკალ გულში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე,
თებერვლის 15-მდე აბონემენტების [illegible] უნდა იქნას [illegible] ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 ს.

სახელმწიფო კინო-თეატრები: ოქტომბერი, დამკვრელი, ტემპი, კოოპერატივის სინემა, სპარტაკი, 26-ის სახ., მეცნიერება და ტექნიკა, კოოპერატივის ლილიპუტი, ცისკარი

მხ. ხმ. ფ. იუდუშკა გოლოვლევი — სეანსები 7-30, 9, 10-30
ახ. ხმ. ფ. ქალაქი საფრთხის ქვეშ — სეანსები 3, 5-30, 10-30
სამი სიცოცხლე [illegible] — სეანსები [illegible], 9, 10-30
მხ. ხმ. ფ. სიკვდილის კონვეიერი — სეანსები [illegible], 9, 10-30
უკანასკნელი დღე რისთვის? [illegible] — სეანსები 6-30, 8-30, 10-30
[illegible] ხმ. სუო ხწრაში № 2 — სეანსები 6-30, [illegible] 10
მანქანის ნაწილების ჩამოსხმა [illegible] — სეანსები 8, 9-30
[illegible] წყნარი დონი — სეანსები 12, 1-30
თავზეხელაღებული ბატალიონი — სეანსები დილის 10 საათიდან

ა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 1934 წ. თებერვლის 10-ს
მე-1000-ე
სპექტაკლის აღსანიშნავი საზეიმო წარმოდგენა
ურიელ აკოსტა
მე-100-ჯერ
დადგმა: კ. მარჯანიშვილის.
მხატვარი: პ. ოცხელი.
მუსიკა თ. ვახვახიშვილის.
სამხატ. ნაწ. გამგე: შ. ჩხეიძე. დირექტორი: დ. ანთაძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კონტრამარკები და უფასო შესასვლელი ბილეთები გაუქმებულია.
სალარო ღიაა: დილის 11—2 ს. საღამოს 6 ს.—9 ს. ნ. 17

ექიმი ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი [illegible] № 72 (ყ. დიდი მთა[illegible] ქ.) ალექსანდროვის [illegible] საავადმყოფოს პირდაპირ. 51—1

ექიმი ვ. ფ. ოთხმეზური
ქირურგიული სნეულებანი
მიღება საღ. 5—7 საათამდე.
მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19 455

თანახმად საქართველოს მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა ცხადდება არტელ „ჩვენი შრომა"-ს ლიკვიდაცია
პრეტენზიები მიიღება დღეიდან ორი კვირის განმავლობაში. რუსთაველის პრ. № 30, ქავთარაძის ბინა.
884 ლიკვიდკომი.

„26"-ის სახელობის ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში ყველა კურსდამთავრებულთ
„26"-ის სახელობის ამიერ-კავკასიის უმაღლესი კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლის [illegible] 10 წლის იუბილეს დღესასწაულთან დაკავშირებით — 1934 წლ. 12 მარტს, ა.-კ. კომუნივერსიტეტში ყველა კურსდამთავრებულთ [illegible] ცნობები რა სამუშაოზე იმყოფებიან ა.-კ. კომუნივერსიტეტის დამთავრებიდან დღემდე და აგრეთვე [illegible] მისამართი. მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ბიჭვინთის ქუჩა № 6, „26"-ის სახელობის ა.-კ. უმაღლესი კომუნისტური სოფლის სკოლა.
ა.-კ. უმ. კომ. სახ.-სამ. სკოლის რექტორი.
887

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. მ. სამხედრო წიგნაკები
გრიშა [illegible] ლაცაბიძის, კოლია ონიაშვილის, გიორგი ალავიძის [illegible] ანდრონიკაშვილის.
კავშირის
ალექსანდრე [illegible] ბუიძის, იასონ [illegible] ანდრონიკაშვილის.
კოოპერატივის
თამარა ქავჟარაძის № 189. იულია ჩხეიძის № 23.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობა
გამოვიდა
ნ. პოპოვი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ნარკვევები—ნაწ. II
იყიდება პარტგამომცემლობის ყველა მაღაზიებში. ნ. 14

ა/კავკასიის არქიტექტურული ტექნიკუმი
აცხადებს მსმენელთა მიღებას
ქართულ, რუსულ და სომხურ სექტორებზე.
განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები დედნებში:
1. დაბადების, 2. განათლების, 3. სამუშაო ბეგარასთან დამოკიდებულების, 4. სოც. მდგომარეობისა და წარმოშობის.
შემოსვლელები ჩამოიცდებიან მშობლიურ ენაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, საზოგადოებრიობაში და ხატვაში. გამოცდები დაიწყება 10/II, მიღება [illegible] 15/II. მისამართი ვაკე—არქიტექტურული ტექნიკუმი. ცნობებისათვის: ტფილისი, რუსთაველის პრ. 3/ა, [illegible] კადრების სექტორი.
ნ. 15 დირექტორი დიასამიძე.

ხდება არტელ „გაერთიანება"-ს ლიკვიდაცია
ვისაც აქვს პრეტენზია ვალდებულია 20 თებერვლამდე წარმოადგინოს კალინინის ქ. № 6, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
860 ლიკვიდკომი.

მშობლები სიკო, [illegible], ცოლი [illegible] შვილები თ. ძმა [illegible] შვილები, დები: მ[illegible] ნინა, ქეთინა, ქმარი ვ[illegible] იუწყებიან, რომ 10 თებერვალს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე [illegible] სასაფლაოზე პანაშვიდი
პარმენ ნიკოს ძე შერეზედაშვილის
[illegible] 872

მამა, ძმა [illegible] ლებითურთ ეფროსინე, ეკატე, როზა და [illegible] რამიშვილები, [illegible] ქეთო იუწყებიან საყვარელი და [illegible]
ნინო მელიტონის-ასულ რამიშვილის
გარდაცვალებას. [illegible] მოხდა ქ. ასტრახანში 871

დამწუხრებულნი: მეუღლე პელაგია, შვილები: სერგო, [illegible], [illegible] ცოლ-შვილით [illegible] ნინა, კატო ქმარ-შვილით, [illegible] აკრაფინა, [illegible] იუწყებიან
სამსონ ლაზარეს-ძე ვაჭარაძის
გარდაცვალებას დაკრძალვა [illegible] 11 თებერვალს 881

[illegible] მეუღლე კოსტა [illegible], შვილი ვანიჩკა [illegible] იუწყებიან საზოგადოებას რომ [illegible] გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
მარგო დოვლათოვი-ხვიჩიასი
გასვენება რიყის ქ. № 97. 9 თებერვალს 5 ს. ხოჯივანქის სასაფლაოზე. 875

ღრმად დამწუხრებული ოლია და ფალია [illegible] იუწყებიან მათთვის ძვირფასი ატარა
ბურიკო ჩხიკვაძის
უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა ქუთაისში მოხდა 8 თებერვალს. 888

უსაზღვროდ დამწუხრებულნი ცოლი თეო, შვილი ქეთო, სიძე პეტრე [illegible], შვილიშვილები: [illegible] იუწყებიან დაუვიწყარი ქმრის, მამის და ბაბუის
მოსე ანტონის-ძე ჯაველიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 თებერვალს ს. ასკანაში. 882

[illegible] მშობლები: ლევანი და თამარი [illegible] ნათესავები [illegible]: ნუნუ, ცაალა, იუწყებიან საყვარელი შვილის და ძმის
პატარა ჯუმბერის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 7 ს. დასაფლავება 10 თებერვალს [illegible] სასაფლაოზე. გასვენება 4 ს. მალაკნის ქ. № 11. 885

დამწუხრებული ცოლი ანნა, შვილები: [illegible], თამარა, [illegible], კატო, ნუნუ; სიძეები: [illegible], ალექსი, შვილიშვილი პატარა ჯემიკო იუწყებიან, რომ გორში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
დავით პავლეს-ძე ხვადაგაძე 886

გულდათუთქული დედა ამინ-დარ, ძმა [illegible], [illegible], დაი გულნარა სანიკიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფას, საყვარელ
აკაკი ფერვანის-ძე სანიკიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ზემო [illegible] 11 თებერვალს. 889

დამწუხრებული მეუღლე ეფრემ. [illegible] ნადია, [illegible]: [illegible], პეტრე, [illegible], პავლე, [illegible], თინა [illegible] იძლევიან [illegible]
მაიას
გარდაცვალებას დ[illegible] 10 თებერვალს 4 ს. [illegible]

დამწუხრებული [illegible] ჭელიძე [illegible] დები: [illegible] და [illegible] დაუვიწყარი [illegible]
მოსე ანტონის-ძე ჯაველიძის
გარდაცვალებას. [illegible] ს. ასკანაში 11 თებერვალს. 882

უსაზღვრო მწუხარებით [illegible] დები: ნინა, [illegible] იუწყებიან [illegible]
აკაკი ფერვანის-ძე სანიკიძის
უდროოდ [illegible] 891

დამწუხრებული [illegible] თამარა, [illegible], ქეთო [illegible] იუწყებიან მათთვის საყვარელ
პორფილე მასხარაშვილის
გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 6 ს. ყ. ალექსანდროვის [illegible] საავადმყოფოში. დაკრძალვა 10 თებერვალს 4 ს.

გულმოკლული [illegible] ბესარიონის-ძე [illegible] და [illegible] იუწყებენ [illegible] 13 თებერვალს [illegible] პანაშვიდი [illegible]
ზურაბ გიორგის-ძე კახაიას
[illegible] 893

ღრმად დამწუხრებული [illegible] მამამთილი [illegible] გო, მული აგრაფინა, ქავთარაძე [illegible]: [illegible] ანდრო [illegible] იუწყებენ [illegible]
მარგო დოვლათოვი-ხვიჩიასი
გარდაცვალებას 89[illegible]

საქ. ფ[illegible] სახკომის [illegible] დირექცია და პარტკომი [illegible] სტუდენტ ამხ. [illegible]
პავლე ტაბიძის
გარდაცვალებას [illegible] 11 თებერვალს [illegible] 89[illegible]

მეგობრების ჯგუფი: [illegible], ი. [illegible], ვ. ორაგველიძე, ე. ბაქურაძე, [illegible] და [illegible] იუწყებიან
თამარა შერგელაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 880

უახლოესი მეგობრები: ნუნუ, კოზა [illegible], ბორის [illegible], [illegible] მათი გულითად მეგობრის ნუნუს ძვირფასი მამის
პორფილე მასხარაშვილის
დაკარგვას. გასვენება 10 თებერვალს ალექსანდროვის საავადმყოფოდან 4 ნახ. საათზე. 878

[illegible] ა ხანაგები: ო. ნეცუბიძე, [illegible] მ. [illegible], [illegible] შვილი, [illegible], ფ. [illegible], გ. [illegible] 4 კურსის [illegible] მეგობრის
ჯუბიკოს
გარდაცვალების გამო. 87

უახლოესი მეგობრები: ნ. [illegible], ი. [illegible] შვილი, ს. [illegible], მ. [illegible], ი. [illegible], [illegible] 4 კურსის სტუდენტი [illegible] შვილის
ჯუმბერის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 879

[illegible], ბიძა [illegible] ცოლშვილით, [illegible] ნებით მწუხარების გამო სტუდენტი [illegible]
პიპიკო (ვალიკო) ნიჟარაძის
გარდაცვალების გამო. 892

[illegible] ცოლი [illegible], [illegible] ქეთინა, [illegible], თამარ [illegible] იუწყებიან
პილასი ფერაძის
უდროოდ გარდაცვალებას.

[illegible] მამა დამწუხრებული [illegible] და ქეთო [illegible] ანდრო და [illegible] იუწყებიან მათთვის საყვარელ
გოგი (ბუზუა) ებრალიძის
უდროოდ გარდაცვალებას, დასაფლავება ქ. ლანჩხუთში 11 თებერვალს. 86[illegible]

თავზარდაცემული ცოლი [illegible] და [illegible], ძმები: გრიშა, [illegible] ნათესავებს და ნაცნობებს რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი
გიორგი (ბუზუა) ებრალიძე
და რომ ლანჩხუთში 11 თებერვალს. 870

დამწუხრებული [illegible] ნინო, გ. [illegible], მეუღლით ნინოთი, შვილებით, ნანა და ასმათი [illegible] გიორგობიანი [illegible] ნათესავებს და ნაცნობებს [illegible]
პორფილე მასხარაშვილის
გარდაცვალებას, დაკრძალვა 10 თებერვალს 4 საათზე. 869

ნინა, ქავანი, პაშა, გრიშა [illegible] ოლია, [illegible] მეგობრებს, რომლებმაც [illegible]
ანასტასია შვანის
გარდაცვალების გამო. 87[illegible]

ცოლისძმები ელენე [illegible] ბოქერიშვილისა, ქვისლები: ბიქტორ [illegible] შვილები: [illegible] ცოლშვილით დავსტირით მუდამ დაუვიწყარ
ვალიკო ნიჟარაძის
გარდაცვალებას. გასვენება ტომაევის ქ. № 5, 10 თებერვალს 4 საათზე. 847

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. №68
მთავლიტის რწმუნებული ა 1573